

ლიტერატურული გაზეთი

№7 (335) 14-27 აპრილი 2023

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

თამარ ყლენტი

ზაზა ბიბილაშვილი

წითელ პარასკევს წასაკითხი

*
„— ნუ ჰკვირვობ, ვაჟი დედას ემსგავსება,
ძე იღებს დედის იერსო,
ხშირად მეტყოდა ელისაბედ...
დრო რამდენი აქვს
სინედრიონს?“

მღვდელმთავრის სახლის მაღალ გალავანთან
ბრბოს ტუსალისთვის მიესწრო.

„— შეუკრავთ ხვალე ხელს შაბათი,“ —
სჯა ახლა უჯობთ, ვინემ სდიონ...

ემამ გზა მღვდლების ხელით გაიკაფა —
თქვეს, „მასში ღვთისმგმობი ჰგიებსო,“
ინყეს სისინი გველისაებრ:
„ძელზე ლურსმნებით მიესოს!“

*
ეზოში ჩირაღდნები აკიაფდა,
„— შა, ფარის ცხვრები დაშლილან.“
„— ძალიან ჩქარობს, კაიაფა,“
მუხლი მოეკვეთა თავშლიანს.

სიმწრით მობლუჯა ხელში კაბის კალთა.
„— ვაითუ, რისხვამ დასძლიოს,“
უფალმა უზენაეს ძალთა
ასული წარუხოცოს სიონს.

ვაითუ, ყოვლის შემძლებელი,
ძეო, ისე გაგამწაროთ,

ქვეყანა დანთქა ბელზებელთან,
დაგვიხშო სიცოცხლისა წყარო.

*
„— გამოჰყავთ! რაბი, რაბი!“
„— შვილო!..
რას გიგავს სახე, სამოსი!
რითი მოგალბო, რა გიშველო!
გამოსაცლელია სასმისი...“

სძლო სჯასა შენსა, უნდა მოგვითმინო,
ვიდრემდე ცას დაივანებ.
გამართლდეს თქმული მოგვთა ენით
წინასწარმეტყველთა ხილვანი.

მხსნელო, მოძღვარო, მაცხოვარო ჩემო,
გამაგრდი, დედა მოგიკვდეს!
სიტყვავ, ყოველთა გადამრჩენო,
გულიდან ხომ არ მოგვიკვეთ?

დამევისოს თვალი, უფრო დამემსგავსე
ნაგვემი, სუსტი... მესიავ!
მე, მე ვინერწყვო ერისაგან,
შენ ნაცვლად მე დამესიონ!“

მღვდელმთავრის სახლიდან
პრეფექტურისკენ
იძრნენ: „მეზლოს, მეზლოს!“

„— ნებსით მიუშვირე ყელი საბელს,
არ განყრე, შვილო, ღმერთო, იესო.“

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი 2022

*
ზოგი ისევ ამტკიცებს, რომ ზევიდან ნაკარნახ-
ვეს იწერს.
თუ მართლა ასეა, ამ ზოგის უმეტესობას აშკარ-
ად ისე სწრაფად კარნახობენ, რომ წესიერად ჩან-
ერას ვერ ასწრებს.
ან უმეტესობა ისე სწრაფად იწერს, რომ მერე
თვითონაც ვეღარ არჩევს, რა ჩაიწერა.

*
ალბათ ვაჭარბებ, მაგრამ დაე:
ყოველი მიფუჩეჩებული (თუნდაც პირობითად
ან ობიექტურად — ანუ როცა არ შეუძლიათ, არ
მიაფუჩეჩონ) ლექსი ერთმანეთს ჰგავს. ყველა
ერთიანად კი სერიული წარმოების პროდუქციას
ემსგავსება. მათი შინაარსობრივი განსხვავებაც კი
მკრთალია.

*
ლექსის ქმნისას სალექსო ატრიბუტიკის უგ-
ულეზღყოფა იმ პრეტენზიის გაცხადებაცაა, რომ
შენი სათქმელი შეფუთვას არ საჭიროებს, რაკი
უამისოდაც ძვირფასია და სიბრძნეა.
კარგი ერთი, რა.
თითქოს ამ პრეტენზიაშიც არაფერია ცუდი, მა-
გრამ იმდენი სიბრძნე, უბრალოდ, არ არსებობს,
რამდენიც, ვთქვათ, ვერლიბრი იწერება.

*
ესეც არის, ვერსად წავუვალ:
ატრიბუტიკა პროდუქტის სახეს სძენს ან უძლი-
ერებს ლექსს. პროდუქტის სახის მიცემა იმისთვის
არის საჭირო, რომ მომხმარებელმა პროდუქტი მი-
იღოს და არა — ნახევარფაბრიკატი. ანუ ეს საჭი-
როა სრულფასოვანი მინოდებისთვის, სრულყოფი-
ლი პროცესისთვის.
ამავე დროს, ენის საზღვრების გადალახვა პრო-
დუქტს უფრო უჭირს, ვიდრე ნახევარფაბრიკატს.
შესაბამისად: პროდუქტის მინოდების პროცე-
სი ნახევარფაბრიკატის მინოდების პროცესზე
უფრო სრულყოფილია მხოლოდ ენის საზღვრებს
შიგნით. ენის გარეთ პროდუქტი ვერ გადის, ან გა-
დის მახინჯი, კარიკატურული სახით. ანუ მცირედ
მომხმარებელი ენის — ვთქვათ, ჩვენი ენის — შემთხ-
ვევაში ვიღებთ უკუღმართ შედეგს — ბამონის, იმ-
ისთვის ვწვალობთ (ნახევარფაბრიკატიდან) პრო-
დუქტის შექმნაზე, რომ ტექსტი (ბევრ) მკითხველ-
ამდე ვერ მივიდეს.
ვინმემ შეიძლება ასეც თქვას: ნიჭიც და შრო-
მაც მიღებული შედეგის უკუპროპორციულია —
მას, რის დაწერასაც მეტი ნიჭი და შრომა სჭირდე-
ბა, შედეგი ნაკლები მოაქვს. და პირიქით.

*
ერთ იუმორისტთან ვმუშაობდი. რამეს რომ გა-
რითმავდა, კვდებოდა სიცილით — ყველაზე მაგა-
რი ხუმრობა ეგონა.



არ ვიცი, სხვა უარესობებს ეს ფაქტორი რამდენად ანიტირალებს, მაგრამ ერთი უპირატესი პირობა კი გვაქვს წერის დღე-ვანდელ მოყვარულებს ძველებთან შედარებით: კომპიუტერი.

„ვარიანტების მწერლებისთვის“, მხვეწავეებისთვის, პერფექციონისტებისთვის ის პირდაპირ მისწრებაა. სტრიქონების კი არა, თუ გინდა, თითოეული სიტყვის ვარიანტები ჩამოწერე, შეინახე, შეადარე, შეარჩიე...

იმასაც კი იფიქრებ, ლექსობაში წერა ქალაქდზე წერისგან ისევე განსხვავდება, როგორც ქალაქდზე წერა განსხვავდება ზეპირად, თავში „წერისგან“.

P.S. ულექსობოდ და უკომპიუტეროდ რეები დაწერილა, ნუ შემახსენებთ, მახსოვს.

შეიძლება იცოდეთ, რომ პოეზიისადმი, როგორც სინამდისადმი დამოკიდებულება, შეცდომაა; მაგრამ გილირდეს ამ შეცდომის დაშვება.

შეიძლება იმიტომ, რომ ადამიანს აუცილებლად სჭირდება რაღაც წმინდა, თუნდაც ერთი რამ.

როცა საკუთარ თავს არ სთხოვ, კარგი ლექსი დაწერო, მაშინ ნუ სთხოვ პოლიციელს — თავი უსაფრთხოდ იგრძნო; მოსამართლეს — შენმა სიმართლემ იზიაროს; პოლიტიკოსს — კარგად იცხოვრო; ექიმს — არ მოკვდე...

თუმცა, პოლიციელო, მოსამართლევ, პოლიტიკოსო, ექიმო... დამიჯერეთ, ისეთებიც არიან, სულ რომ ცდილობენ, კარგი ლექსი დაწერონ, და ზოგჯერ გამოსდით კიდევ.

და გაითვალისწინეთ.

წამიკითხავს ლექსი რომელიმე აქტუალურ თემაზე, ან ასეთ თემაზე რაიმე კრებული გამოცემის ამბავი გამიგია, გავლიზიანებულვარ და გამხსენებია ჩემი ადრინდელი ნათქვამები ცოცხალი პოეზიის შესახებ — რომ თითქოს მისი გაცოცხლება მინდა და იმ დროსა და გარემოს შევხატრი, როცა პოეზიაც ისეთივე ყოველდღიურობა იყო, როგორც „ნადირობა, თიბვა ან სისხლის აღება“.

შესაბამისად, დავეჭვებულვარ — ხომ არ ვცდებოდი ან ხომ არ ვიყავი არაგულწრფელი მაშინ, როცა ცოცხალ პოეზიას ვნატრობდი, რაკი ახლა ეს ცოცხალი პოეზია მაღიზიანებს.

მაგრამ, მგონი, მივხვდი, რაც ხდება:

ეს არ არის ცოცხალი პოეზია. ეს არ არის პოეზია, რომელიც ამა თუ იმ თემის გაცოცხლებას, წამოწევას, გააქტუალურებას, ანალიზს, მხატვრულად დამუშავებას ცდილობს. პირიქით — პოეზიის გვამს „ხელოვნური სულივით“ ჩაებერება აქტუალური თემები, რათა მცირე ხნით მაინც ამოძრავდეს და მისი სიცოცხლის ხანმოკლე ილუზია შეიქმნას.

აქ არაფერია ახალი. ნათქვამიც კი არაფერია ხშირად. ამა თუ იმ მოვლენის მიმართ წინასწარ არსებულ — და არცთუ ორიგინალურ და განსაკუთრებულ — დამოკიდებულებას ეძლევა ლექსის ფორმა (ეძლევა თუ არა ან რამდენად კარგად ეძლევა, ეგვიც საკითხავია). მერე ვიღაც მოიფიქრებს, ამა და ამ თემაზე ლექსები შეაგროვოს და შესაბამისი კრებულებიც მზადაა.

ეს არ არის ცოცხალი პოეზია. ეს არის მკვდარი პოეზიის ფიტული, რომელსაც აქტუალურ თემას დროებით ჩამოაცვამენ ხოლმე.

საშუალო ხარისხის წიგნში შეიძლება უბრალოდ ჩაიკარგოს ფრაგმენტები, რომლებიც ცალკე გამოქვეყნების შემთხვევაში დიდებულ ნაწარმოებებად გამოჩნდებოდა.

ის, რაც დროებითია, ნავა და დიდი ლიტერატურა — დიდი აზრებით, იდეებით, თემებით — დარჩება...

მერე რა?

ჯერ ერთი, ვერავინ გაიგებს — ჩვეულებრივი მკითხველით დაწყებული და დიდი კრიტიკოსით დამთავრებული. და თუ



ვინმე მაინც გაიგო, ისიც გაატარებს. თუმცა რატომ — პრაქტიკაშიც გამოიყენებენ — კლიშეციტატების წყაროდ.

სულ არ ვარ დარწმუნებული, რომ ნაკითხვიდან აზრი სწორად ვინმეს ისევე გამოაქვს, მაგრამ ამის გამო წერას თავს ვერ დავანებებ — გვიანია.

ინდური სერილების წერა უნდა დავინწყო: სერიას ნახევარგვერდიანი ტექსტი ყოფნის, დანარჩენი — იყურებიან.

ღმერთო, დანყებული (კითხვას ვგული-სხმობ) უვარგისი წიგნის დაუმთავრებლად (აქაც) გადაგდება მასწავლე — რათა ამა დროზე გაუხსნას სხვა წიგნებს ჩემამდე მოსასვლელი გზები!


ასე, 30 წლის წინათ ნაკითხულ წიგნს ჩავუჯექი და ეგეთი ცინცხალი ზოგი ნაუკითხავი წიგნიც არ გამომდგარა.

ასე რომ, ერთი 30 წელი გაიჭირვებ და მერე შეგიძლიათ, წიგნები აღარ იყიდოთ.

თუკი ადამიანი თითოეული წიგნის ნაკითხვის მერე იმაზე უკეთესი ხდება, ვიდრე ნაკითხვამდე იყო, წარმოდგენაც არ მინდა, როგორი იყო ზოგი იმ უამრავი წიგნის ნაკითხვამდე, დღეისთვის რომ ნაუკითხავს.

განათლება, თეორიულად, იმისთვის არის კარგი, რომ ადამიანებს სხვების, მოვლენების, სამყაროს მიმართ ის ბრიყვული, ვინრო, მერკანტილური დამოკიდებულებები შეუცვალოს, რომელსაც პრაქტიკაში ვერ უცვლის.

ცოტას (გნებათ — ცოტა) რომ ვკითხვო, ერთია. მეორეა საფუძვლიანი ეჭვი: რასაც ლიტერატურის ეგადით ვკითხ-



ვლობთ, ყველაფრის ნაკითხვა საჭიროა? კარგია? დადებითი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში?

ვინც „კი“-ს მიპასუხებს, ალბათ ასეთ ახსნა-არგუმენტებს მოადვენებს: ყველაფერი გამოცდილებაა, კარგის ამოსაცნობად ცუდიც უნდა ნაკითხო და ასე შემდეგ. მაგრამ მგონი, „არა“-ს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს: არნასაკითხის კითხვა, უკეთეს შემთხვევაში, ძვირფასი დროის კარგვაა, უარეს შემთხვევაში კი, ცუდის ნაკითხვაც ისევე ახდენს გავლენას ადამიანზე, როგორც კარგის ნაკითხვა; შეგვიძლია გავიხსენოთ ბექდური სიტყვის ეფექტიც და ილუზიაც, რომ ყველაფერი დაბეჭდილი ერთნაირად მნიშვნელოვანია და ასე შემდეგ.

დამატებითი და იქნებ უკვე კატასტროფული უბედურებაა წიგნის ისეთი საკითხავით ჩანაცვლება, როგორც ეგრეთ წოდებული სოციალური მედიაა. აზრის, უაზრობის, სიბრიყვის, სიჩლუნგისა და მისთანების გამოსატყვა-გამოსაჯაროების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ყველაფრის ნაკითხვა მავნებელი არ არის.

საჯაროდ ჭკვიანური რამის დაწერა დავაპირე და უცებ ყველაფერს მივხვდი: ეგ სახიფათო გახდა, თორემ განა სხვას არ შეუძლია.

ერთ ჭკვიანურ რამეს იტყვი და მერე ათას სისულელეზე გინევს პასუხის გაცემა.

აი, ეს არის თქვენი სოცმედია.

ნავა ვი და დელიკატესი ერთ ქვაბში რომ მოხარშო, რას მიიღებ?

აი, მაგ შედეგს იძლევა ფეისბუქიც.

ფეისბუქია ის „სარკე“ (სინამდვილეში უფრო — ის „ტელევიზორი“), რომელშიც კარგად ჩანს ჩვენი საზოგადოების ორი ძირითადი სახე: რამდენიმე ლარზე გაყიდული ტროლიც და ცხვრის ფარაც — ცხვ-

რის ტყავში გამონყობილი ნებისმიერი მგლის დაძახილზე რომ გარბის იმავე მგლის გაშვერილი თათის მიმართულებით.

ჰოდა, აბა, ფაქტებისა და მოვლენების გააზრების თუ არც სურვილი გვაქვს და არც საშუალება, მაშინ რაღაც ველით და მოვითხოვთ — სამგლეთი მთლიანად არასდროს დაიქცევა და ზნეობრივი კანონი თავის თავში კანტასაც კი უკვირდა.

ფეისბუქი პლაუს ჰგავს; ვერ იტყვი — მთლად ნუდისტურს; მაგრამ თუ დავაკვირდებით, ჩვეულებრივსა და ნუდისტურ პლაჟებს შორის მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ არის.

რაც მთავარია, აქაც ყველა თითქმის შიშველია და, შესაბამისად, აქაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ტანსაცმელი ადამიანებს იმაზე გაცილებით დიდ სამსახურს უწევს, ვიდრე ზოგადად გვგონია.

უფლება? უფლებაზე ვინ რას ამბობს? (პლაჟზე) გაშიშვლებას ესთეტიკური ან თუნდაც ეთიკური არგუმენტებით ვერავის აუკრძალავ.

ჰოდა, გინევს უამრავი არაესთეტიკური სახილველის ატანა თუ მისთვის თვალის არიდება — იშვიათი მშვენიერებით დატკბობისთვის, შენიწილი რუჯისთვის და შენიწილი ნებივრობისთვის — იმ ზღვის ტალღებში, რომელიც სისუფთავით ვერ დაიკვებინს — რაკი იქ მოყვებულავეთა უმეტესობა შიგვე ფსამს.

რიოში მარგალიტებით თამაშზე ამბობენ — ჰესემ მასში კომპიუტერის შექმნა განჭვრიტაო. არ ვიცი, რამდენად ზუსტი შედარებაა. ის კი, რითაც ახლა ფეისბუქმა ჰესეს რომანი გამახსენა, მსგავსება კი არა, განსხვავებაა: მარგალიტებით თამაშში ყველა (პირობითად) მეცნიერებაა თავმოყრილი, ფეისბუქზე — ყველა უმეცრება.

ის გავიგეთ, რომ ყველაფერზე საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვა ჩვენი უფლებაა.

იმის გაგება დაგვრჩა, რომ ეს ჩვენი მოვალეობა არ არის.

ზოგიერთივით რომ ვაზროვნებდე, ხმას ალბათ მაინც ამოვიღებდი — რაკი ისეთი აზროვნებით ვერც მე მივხვდებოდი, რომ როცა ასე აზროვნებ, ხმა საერთოდ არ უნდა ამოიღო.

„ამაო გარჯა სიძულვილისა“ ფეისბუქის შესახებ პიესას მოუხდებოდა ეს სათაური.


მსმენია, რომ რაც კი ინტერნეტსივრცეში გამკრთალა, ყველაფრის აღდგენა და მოძიება შესაძლებელია.

ჰოდა, მხოლოდ ფეისბუქი აიღე — რამხელა საგანძურს იტევს, რა მდიდარ არქივს შეუნახავს დიდ მწერალს — მთავარია, მისი რომელიმე მომხმარებელი დიდი მწერალი აღმოჩნდეს. მორჩა ის დრო, დიდათა ნათქვამ-დაწერილ თითო სიტყვას ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ, საქალაქ-საქალაქედ რომ ვეძებდით.

ანუ რომელიმე დიდმა მწერალმა იმხელა მიხვედრილობა და წინდახედულობაც რომ გამოიჩინოს — თავის დიდ მწერლობას მიხვდეს და თითოეული არსასურველი პოსტი, კომენტარი თუ მესიჯი მოძებნოს და ნაშალოს (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია), მერე მაინც აღმოჩნდება, რომ სამუდამოდ არაფერი იშლება, რომ, ხელნაწერებისგან განსხვავებით, ინტერნეტჩანაწერები მართლა არ იწვიან და, სათანადო მიზანდასახვის შემთხვევაში, ყველაფრის აღდგენა შეიძლება...

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი — რა თქმა უნდა, ცოდვილი — ცხოვრებიდან რაღაც-რაღაცები გავაპარეთ, ბოლომდე იმ დაფარულის სტატუსით მივიტანეთ, რომელი არა გაცხადდა... და უცბად აღმოჩნდეს, რომ შესაბამისი მიზანდასახვის შემთხვევაში, ამ ცხოვრების ნებისმიერი წამის გახსენება — თანაც, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის სახით — შესაძლებელია.

უპ.



 ხელით წერილი ჩემი დღეების ნარიგრაგნა და დარჩა სტრიქონი —
 საეპილოგე გვერდის წერტილი,
 რომელიც მერმისს განეფინა, ძნელად სახილველს.
 ჩემს სიფითრეში არვინ შემოდის...
 დამეხსენით, ჰე, უსხეულნი,
 გამიშვით ეშვი,
 მკვდარივით შავად შეხორცებული.
 ცოცხალ ტაძარში იწირვება გულის ტარიგი,
 ოდინდელში მნთებარე თითქოს,
 ახლა — დამწვარი უშრეტ სახმილში...
 ნაილე, ღმერთო,
 ამოხავე ჩემი სიცოცხლე და სხვას მიეცი.
 ეს კრეტსაბმელი ჩამოხსენი,
 გააპე მტკივან შუანელზე,
 რომ ორივე მხარეს
 ძველი, ახალი წერილები შეხვდნენ ურთიერთს
 და დაინახონ, როგორ მწარედ ჰგვანან ერთმანეთს,
 რომ რასაც ერთი წინასწარ ჭვრეტდა,
 მეორემ თხემზე აიტანა,
 სახრჩობელაზე ჩამოიხა უკერველი თეთრი სუდარა.
 შეყენებული უთქმელი სიტყვა,
 ვერგამოსრული მდუმარ ბაგიდან,
 შენ შეისმინე.
 მათ, ვისაც ცხადში ვერ მივემთხვიე
 და ვის დამსჭვალულ თავსა და
 ტერფებს ვერ მივამსჭვალე ჩემი ხელები,
 გთხოვ, დაიფარე ყველა მის გზაზე.
 გმადლობ იმისთვის, რაც არ მომეცია.
 ეს ჩაყლაპული ოცნებები ცად დამიმარხე.
 ვიდრემდე ვარ-ლა,
 შემარჩინე მოკვდავ ხედვიერს.
 არ მოვბრუნდები ცხოვრებისაკენ —
 იქ ხომ უსიზმრო ღამეებია,
 გათენება და შუადღეები.
 იქ დამშეული ეშვებია და
 ლეშისმჭამელი მოყვასები,
 უსმენო ტრაურია
 და უღმერთო სამზიოა,
 უდაბნოს ურწყულ ხაზებს შორის
 სვენებული მზე დაუფალი.
 ჩემთან უზიარებელი მეგობრები,
 ჩემი ვერმცნობელნი და დამტყვებელნი.
 ჩემს სიხარულზე ვერდამალული ცრემლები,
 ჩემს ტირილზე კი გამარჯვებული დამწუხრებაა.
 კიდეც რამდენი ბალამია,
 მტვერი და ამ მტვრის ვერმფანტველი ქარი,
 მწინკველი წერვის ღერების.
 მიწყაროე ლურჯი სიკვდილი,
 ჩემს უდაბნოურ შიმშილს ნეტა დააპურებდე.
 მანამ ერთხელ თუ მის სახეებს სადმე შემამთხვევ,
 მე თითებს მისი ხატის ხაზებს შემოვავტარებ,
 როგორც ბრაილით ნაწერ სიტყვებს,
 ჩემს უსინათლო არსებობაში.

 ხვალ ისევ გვიან დადგება ჩემი განთიადი,
 გვიან დარეკავს ჩემი სამრეკლო,
 როცა ყველა დაასრულებს შევრდომას.

იმ დროს შევალბე სასწავლებლის კარს,
 როცა დერეფანში არავინ შემომხვდება,
 გაიჭრიალებს ჩემი ყოფნა სხვათა ყოფნაში,
 მოვძებნი ადგილს, რომელიც არასდროს იქნება ჩემი —
 დროებითი ჩამოსვენება ესეც, მორიგი.
 ჩემი ლექსებით სავსე აბგა,
 ჩემგან უსწავლელი,
 დაუზეპირებელი ფურცლების გვერდით.
 ვუსმენ და ისევ მწყურვალი ვრჩები,
 თითქოს თვალბეც ქვიშამ დამივსო
 და მზე თუ წყალი რწმენითა მახსოვს,
 ხსოვნითა ვხედავ.
 ჩემი გონება — გაფრენილი ჩიტის ფრთეება,
 გამოკეტილი, უსაკენკო, ბუდეჩამწყდარი.
 ეს გასვლაც ხარკი არის და იქნებ
 ვინმეს ჰგონია სურვილი ჩემი.
 მე ვნატრობ დილეგს, მელნისციანს,
 რომლის სიღურჯე ფურცლის სითეთრეს დააღამდება.
 მარტო და არვინ, არა, სულ არვინ — სავსე სამყარო.
 ნუ მტანჯავ ყოფნით,
 დაიდუმე,
 ისმოდეს მხოლოდ ღვთიური ბახი.
 იქნებ ეს არის მარხვათა მარხვა —
 გინდოდეს მარტო, ცხოვრობდე ხალხში,
 გშიოდეს ფრენა, დადიოდე ფრთის რუდიმენტით,
 გიყვარდეს და არ უყვარდე,
 გასცემდე და მხოლოდ გასცემდე,
 ჰნატრიდე დედას და რძეს ვერ ჭამდე.
 ასე მარხული თუ იწამებ ჯვარცმულ აღდგომას.

ნუ დაელოდები ჩემს განთიადებს,
 დაიგვიანებს.

 დიდი ხანია, საკუთარ ტკივილში
 დამარხვის ფუფუნებაც არა მაქვს
 და ვცხოვრობ სხვისი ემპირიით,
 რომელიც ვერასდროს გახდება ჩემი,
 მაგრამ მაინც თვისად განვიცდი.
 მე შემძლია, ღამე გითიო,
 გული მოგცე,
 საკენკი დაგიგო ზამთრის ტაბლაზე,
 ჩემში ჩადგმული სული — ცალი სპირალი —
 სხვის სპირალს ჩავუხვიო,
 ჩემსას პირზე ხელები ავაფარო
 და ხაროდან ამომძვრალი უკან ჩავაბრუნო,
 ზედ კი ბედნიერი სახე წავაფარო.

რა იქნებოდა მუნჯი დუმილი
 და სარეცელი, გზასავით ვინრო,
 სარკმელიც არა — ცივი ღიობი,
 თეთრი ფურცლის წილ — გულის ფიცარი,
 კალამი არა — ღვთიური თითი.
 აი, ეს არის ჩემი სიზმარი,
 მარხვა, რომელიც ვერ შევინახე.

 კალთა, თანმყოფი საწერი მაგიდა,
 თითის წვერებზე აწეული,

თავებმდგომელი, ტყუპების დარად.
 უსწორმასწორო ზედაპირი,
 აქა-იქ ჩაჭრეთილი ბრმა გრაფემები.
 ვერ ითმენ,
 ეგების სარკმელის ფესვთან შედგმულ
 ყრმობისდროინდელ, დედის მაგიდას
 ველარ მიუსწრო
 და სტრიქონები შორს გაგიფრინდნენ,
 ქალაქში ბუდედადებული მფრთხალი ჩიტით.
 დაკვალულ ფურცელს
 გააყოლებ ჩამომხმარ თითებს,
 თვალის სინათლეს კარგავდე თითქოს,
 იგონებდე საკუთარ ბრაილს.

არ გაიშალნენ წელსაც იები
 და დაიკეცეს მოლურჯო ფრთები,
 ჩაბრუნდნენ თავში,
 კაცს კი არა აქვს ამის უფლება,
 ან — ზოგს აქვს მხოლოდ.

თვალეები ცრემლის სანგრებია,
 მინის ემბაზი,
 რომელსაც ქვიშით ამოავსებ, თიხად იქცევა,
 იძენებთან მისგან კვდომის მღვრიე კადრები,
 თოვლით დახურე, ჩემო თავო, თვალი დახუჭე
 და დაივინყე,
 პირით კედლისკენ იძინებდი თუ ოთახისკენ,
 სადაც დედაა, შენი დაა, სხეულში ყოფნა.

 ოთხკუთხა ვარაყებიდან
 გადმოდიან ჩემი ლოცვები,
 უსიტყვოდ თქმული.
 დიალოგია, თითო ხაზის გამოტოვებით,
 ტირის გვერდით სიცარიელეა.
 მარცხენა ხელზე შავთვლიანი წნული ჰკიდია
 და მარცვალიდან მარცვალზე ბრუნავს,
 ტოტიდან ტოტზე გადასული მშიერ ჩიტით.
 იგულებიან სისინები საკმეველის სუნით
 და გამოცარიელებული ბნელი ხორხები
 უნდავლოდ რჩებათ ისევე.
 განდევნე,
 გაუშვი,
 ეშვი დააცალე.
 ვიდრემდე?
 სადამდი...
 რა ძალით...
 აქ მაინც დავსვა შავი წერტილი,
 სიზმარეული ყოფნის ნესტარი.

სხვა საშოპაო

ფურცლებს შორის ღერძის ფსკერზე
 ნათითურებით დასანთლული პერგამენტები,
 ორი ათასი წლის წერილები...
 აქ რად მოხვედი,
 უდაბნოში, ახლადნაშობივით, რძე რისთვის შესვი,
 რად დაემაღე ყრმათა მჟღეტელს.

აქ ყველა შენს სახელს ეფარება,
 მაგრამ არავის არ უნდა ჯვარი.
 აქ პოეტებად იწოდებიან,
 მაგრამ არავის არ სურს სიკვდილი
 და წერენ ფერად ყვავილებზე,
 მათ ხანგრძლივი უნდათ სიცოცხლე.
 აკი, შეგთხოვე,
 უმწიფარი ჩამონყვიტე ჩემი მტევანი,
 მზისგან შეუვალი, მწვანე და მკვავხე,
 მინაზე ქერქდაუკარებელი,
 ტოტზე ძელსავით დაკიდებული
 ამდენ მნიფე ავაზაკს შორის.
 შენთან მოსასვლელად ნუ გამატარებ
 ადამიანთა ყრუ საზვერებს,
 მე შენი ქმნული ვერ შევიყვარე,
 არ არის სხვა გზა?
 მიღმა დაფრები,
 ნამიღებენ სალხინებლის შუა ქარები.

ორი ათეულის მერე ვინყებ
 სულ ახლიდან ნაკითხვას შენსას.
 შენი სახელი დედაჩემმა რძესთან ერთად მახშია უხვად,
 მუცელში მანვიმდა
 დედაჩემის უბინო ბარძიმში
 ჩაშვებული შენი სისხლ-ხორცი.
 ის წიაღი და სამშობლო ჩემი
 თურმე რა ძლიერ ჰგვანდნენ ერთმანეთს.
 გამოსვლის შემდეგ შეწყდა წვიმები,
 საკუთარი ხახა გამიჭრა
 ხელებში შემოჩეჩებულმა მრუმე სიცოცხლემ.

რომელ ცაში ჩაესვენა
 ის, შემურული, ოქროვანი, თეთრად ნაკმევი
 ცისკრის ვარსკვლავი,
 ვინ სუნთქავს ახლა მეფურ ბაგაში
 და დახშულ კარებს ვინ გაივლის,
 როგორც ქალწულის დაბეჭდილ წიაღს...

თუ ჩემს მარცხენა ქვაბულს იკმარებ, მოვედ და იშვი.

ალსარება

ნელმწუხრდებიან სიზმრის ოლარნი, პირს მიფარვიან თეთრი სუდარით და ჩემი მიწა, მოუთოვარი, ფითრად ედება ყოფნას საკუთარს.

მძიმეა ჩემივ თავის კირთება, თვის სატიკვარში ყრუ გარინდება. სხვა, როგორც წესი, სასძლოდ ირთვება, ზოგი კი ქრისტეს დაენინდება.

დგას თომ ზამთარში მზრალი ტაძარი, მარცხნივ უფეთქავს ხსოვნა მრეკელის, რომელმაც შეხსნა უწინ ბანარი, რომ უმეტესი ეწნა ხელებით.

მწარე სამსჯავროს ვერვინ გაუძლო, რისხვით დაიპო ტანზე სამოსი. ცისქვეშეთია ტანჯვის საუფლო, თვალს ჩემი წილი ცრემლი ჩამოსდის.

მე საუკუნო ქარიშხლებს ვებრძვი და სარკოფაგიც მელის მკსინვარე. მამძიმებს თავზე დარქმული ძეძვი და მეგობრები, ბაღში მძინარე.

მარტო შევდივარ გლოვის ღელეში და ცეცხლს მიგრძობს კალთა ხალენის. მოვიკვებები, როგორც ხენეში, მაგრამ ტკივილით შევიწყალები...

გაუშვა ხელი ერთურთს დღე-ღამემ, ჩამოდგა მწუხრი გაუთენები. ბაგზე ნაღვლით სველი ვენამე, ყურზე მეხვივინ ვნების ენები.

განყალბული თოკით ჩანყდა მიწიდან ზენარს შედგმული შიბი. შავი ლანდები ასხედან საყდარს, რომ დაამუხჯონ ზარები წირვის.

გახსენი გული, იქ დამიმარხე, ვით ზღვა, გააპე ცივი აკლდამა და აზირე ცხადი მირაჟებს, ვიდრე სამზეოს წყლებით დაფარავ.

ვერ მოგეახლე და ვერ მოვედი და უსიკვდილოდ ვინვი დღეყოველ. ვინ ჩამიფიქრა, ვიყო პოეტი, შვილს მელოდა და მკვდარი ვეყოლე...

შემოსდგომია საგულეს ღმობა, ლურჯად შესუდრა მიცვლილი ცისად, ვიდრე სვეტივით გადაიპობა და გაივსება სხეულით ძისა,

მოვედ და შენი ლანდით მომჩრდილე, რომ იქ ავიგო მყუდრო ღამენა, იქნებ დავეხსნა წამით ბნელ დილეგს და მიწყაროო ზეცით ღიხინება.

ვერ მოგეახლე. შენი სიმაღლე მიუწვდომელი რჩება აქამდე, მიკვირს, მე რატომ არ დავილაღე, რად არ დადუმდა გულში ღალადი.

დაიბზარება ბაგე თხიერი, ახალ განსაცდელს ვინმე ჩამასხამს, კვლავ ამემღვრევა სახე-იერი, ვიტყვი: დავითმენ მხოლოდ ამასლა.

მერე კი ისევ წართქმის ხაზი, ჩემი კარით ვინრო გზანვრილი, დაიცრემლება ნახსლევი ვაზის, თეთრი კეთრივით ტანზე ათლილი.

მარად ისმოდეს შენი გალობა, გიხაროდენი, ნეტარ არიან... შენ განმიკურნე უტყვი საღმობა, სულს დაეფინე, ეკალ-წარიანს.

ბოლო სიტყვები პურად დამიგე, ჩამომარცვლე მშიერ ტაბლაზე და ჩემი ყოფნა, სიკვდილსამინე, საანგელოსო ლოდით დარაზე.

არ აქვს სასრული ლოცვებს შენდამო, რომ მარად იყო, მღერდე, ხარობდე, მე კი უშენო ბედი მენამოს, არ ჩამომეხსნას ჯვარი აროდეს.

როგორც აქამდე, განემხოლოვდები, ექო მოისმის, იქ მიმელიან,

ზეცას ვასმინო შენი ოდები, ვით გათოშილ ყურს, შენსთბილხელიანს.

მოვედ ნუგეშად არმურში, სიზმრად, ცამ შეაყენოს, დე, გათენება. გადამინდუე თვალი საწვიმრად, შენი ხატი რომ დაედიდება.

*** კონვენციისგან ძალაგამოცლილი, ვერლიბრის წერას შევუდექი. ყველა თვლემს ახლა. ჩემი უძილო კომპარები გამომზეურდენ ღამის წყვდიადში, ფურცლებითა და კალამით ხელში. მე ვრცელი სიტყვა, ბოლო ძალებით გამოთქმული, მას მივუძღვენი... და მისდამო ალსარების მძიმე წერილი უჯრაში ჩავაბრუნე,

ფსკერზე დავზიდე, უმნიშვნელო და მშრალი ფურცლები ზედ ნავაფარე, ვით დანაშაულის დასაფარად გამზადებული სახანძრე ტილო.

ვერ, ვერ გავებდავ მე გამხელას და დავგუბდები, ისევ პირთამდე აივსება ჩემი ხმელეთი ჭიქის ქუთუთოდან გადმოსული მლაშე ბურთებით, როგორც სამყაროს შექმნამდელი ქვეყნიერება.

ჩემს ლექსებს რედაქციას გავუგზავნი, იმ დედასავით, სხვას რომ უტოვებს და ბრმად მიანდობს მის მიერვე ნაშობ შვილს, ურვილს, და ვერ ისვენებს, დაადგრებთან სიზმარულ ძილ-ღვიძილებში სინდისის ხმების ბნელი სვეტები — „სად მივებარე?..“ ერთის გარდა, ყველა ნაიკითხავს იმ ლექსს, გაუზომავენ მეტრსა და პოეტიკას, გრძნობას — ვერასდროს. ეს საფლავამდე წარსატანელი საიდუმლოა, ფრენით დაღლილი ნაკრტენებით, მინის ბელტებს რომ აეზილება. დაიხრჩობიან ჩემი ხნულები, ჩემი კვლები, რომლებშიაც ჩემთან ერთად არავინ ჩადგა.

მიმოიხედავ, დაინახავ, რომ ქარისაგან დაკბილული ნიავსაც კი ვერაფრით ებრძვი. მეგობარი — მწარედ მოშურნე, შენი ვერდამთმენი და ვერდამტევი, შენი სისხლ-ხორცის ზიარება დასასჯელად რომ შეერგო მხოლოდ, რადგან დაგძიგნა, ნამცეც-ნამცეც დაგაცალა მიშვერილი მეორე ლოყა... ჩემი მტკივანი სიყვარული, სხვების სამსახურებლად განმზადებული, არავინ ინდობა, ეს ღია გული მათი შუაკარია, არ დააყუდეს ნავი, არ დააფრინდენ ბოლო რეისით, არ ჩამოდგენ მომლოდინე ცალი მგზავრისთვის, საიდანღაც მოსულნი სადღაცევი ნავიდნენ. ასე ერთფრთოვანი დამირჩა გული, გამცემი და არასმიმღები — დაუნდობელი ასიმეტრია.

გაელვიძება ახლა დედაჩემს და შუალამით ანთებული მქრქალი სინათლე კვლავ გაახსენებს პოეტის დედობას, რომელიც ოდნავ ჰგავს გოლგოთის დუმოსს, უსაყვედუროდ დათმენილ ტკივილს და სხვებისათვის დათმობილ ერთ შვილს. არაფერს მეტყვის, თვალებით შემთხვოს ამ ღამით მაინც დაძინებას, რომ უსაშველოდ არ გაინელოს მორიგი და ცრუ განთიადი იმ დრომდე, როცა მთელ ქვეყანას ნაცხოვრები აქვს დღე-ნახევარი... დამესიზმრება ჩემი სენაკი, დავმანული და ძილქუშიანი, სხვანაირ თომში თვალგახელილი, სხვაქვეყნიური ბგერით ნასუნთქი, სანატრელი და არარსებული. იქნება, ძილში შევასწრო დედას, ვითომ არ ვიყო თვალუთენარი, ჩვეულებრივი სიზმრით მეძინოს და არ მტანჯავდეს პოეზიის ჯვრიანი ბედი, ამ სამყაროსგან შეუსმენელი ღვთიური ხმები — ბოლო ძალით გადმონთხეული, გაფთრებული ფურცლებიდან აღმოშობილი, ლურჯად მოქუფრულ მელანისგან მირონნაცხები.

ნამიკითხავენ, უწყალოდ გადამდებენ. წერილი კი დაიფერფლება, მისი ბაგის წილ უთქმელობის ტანჯვის სახილში გამოიწვევა და გაითქმება მხოლოდ მაშინ, როს შავი სეტყვა მოანვიმებს თბილი ხელიდან ცივ მარმარილოს...

ზაზა ბიბილაშვილი
პოეზია,
დანარჩენი
ლიტერატურა, და
დანარჩენი
2022

* ბირთვული იარაღი ის თოფია, რომელიც დიდი ხანია, სცენაზე კიდია. და ის თუ გავარდა, მართლაც სპექტაკლის ბოლოს გავარდება.

* ომზე ცოცხლების აზრი არ მაინტერესებს; იმათი აზრი მაინც განსაკუთრებით, ვისაც წინასწარ გარანტირებული აქვს ომის შემდეგ ცოცხლად დარჩენა.

* ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული აზრების არსებობის შემთხვევაში, არსებობს შანსიც, რომ ამ აზრებიდან ერთი იყოს მართალი ან ყველა დანარჩენზე უფრო მართალი. ზოგადად, ყველას კი აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას აზრი ღირებულია. ზოგჯერ ყველაზე რთულ თემებზე ფიქრისასაც კი გაუელვებია ეჭვს — იქნებ ამ თემებისადმი რომელიმე ერის, ხალხის თუ ინდივიდის დამოკიდებულებაა მართებული — სხვა ერების, ხალხებისა და ინდივიდების დამოკიდებულებებისგან განსხვავებით.

მაგრამ ალბათ უნდა შევგუოთ, რომ სამყაროს წარმოშობის, მისი არსის, სიცოცხლის აზრის და ამისთანების შესახებ არათუ დღეს არ ვიცით სიმართლე, კარგა ხანს (კაცობრიობის ისტორიისთვის კარგა ხანს ვგულისხმობ) არ გვეცოდინება. დღემდე მოპოვებული ინფორმაცია არ იძლევა იმის იმედს, რომ უახლოეს მომავალში ამ თემებზე დასმულ კითხვებს სწორი პასუხები გავცეთ (რა თქმა უნდა, ყველაზე ჭკვიან ტვინებსა და დაწესებულებებში დაუნჯებულ ინფორმაციას, ცოდნას ვგულისხმობ და არა ჩვენთვის — რიგითებისთვის ცნობილს. მართალია, ჩვენ, რიგითებს იმაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, თუ რა იციან ტვინიკოსებმა, მაგრამ მგონია, ის მაინც ვიცით, რომ მათ ამ კითხვებზე პასუხების მოძიებისთვის საკმარისი ცოდნა არა აქვთ).

რა თქმა უნდა, იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ ამ თემებზე არსებული ყველა მოსაზრება თანაბარი ღირებულებისაა. შესაძლოა, სწორ გზაზე ვდგავართ (ისევ კაცობრიობის მოწინავე ტვინიკოს ნაწილს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა), მაგრამ ჯერჯერობით, მგონი, მთავარი მიღწევები, მიღებული პასუხებით კი არა, ამ პასუხებისგან გაჩენილი უფრო მეტი კითხვით გამოიხატება. არ ვიცი, კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი მოგვეცემს თუ არა საშუალებას, როდისმე ბოლოში გავიდეთ. და ისიც არ ვიცი, ამ ყველაფრის შეცნობის ბოლო არსებობს თუ არა.

* სამყაროზე ძალიან ცოტა რამე ვიცით იმისთვის, შტერები რომ არ გვერქვას, მაგრამ საკმაოდ ბევრი რამე ვიცით იმისთვის, რომ ასეთი შტერები არ ვიყოთ.

* თუნდაც ერთი კონკრეტული მაგალითი — რომელსაც აქ მეტად აღარ დავაკონკრეტებ — მიმანიშნებს ღმერთის არსებობის რწმენის ერთ-ერთ მიზეზზე: პასიური, გნებავთ უმწეო ადამიანი ამჯობინებს, სხვას — მით უმეტეს, ძლიერს, და სულაც ყოვლისშემძლეს — მიანდოს, დაავალოს ყველაფრის მართვა, რეაქცია ყველა ფაქტსა და მოვლენაზე. თვითონ — ილოცებს — პრობლემა არ არის.

* კოდო ჩემს დასაკბენად ისე ძველებური წულით მოფრინავს, თითქოს გუშინ გამოქვეყნებული — უების ახალი ტელესკოპით გადაღებული ფოტოები არ ენახოს.

* ცაში ნუ დაფრენ — დედამინაზე დაეშვიო. დედამინა ხომ რას ამბობ — მინაზე დგას.

* როცა ყველაფერი იცი, შეუძლებელია, ისიც არ იცოდე, რომ ყველაფერი არ იცი.

* ვინც ყველაფერი იცის, იმისი არაფერი დაიჯერო.

* აფსუს. მართლა მენანება სიცოცხლე ჩვენს ხელში.



დალილა ბედიანიძე

ვაშენებ ლექსის ტაძარს
სიტყვების ლურჯი ქვებით,
რათა გაუძლოს ხანძარს
და ძალას აფეთქების.

ვაშენებ და თან ვმღერი
და მემატება ძალა.
თუმც ვარ ცხოვრების გერი,
მზემ ჩემთვის მოიცალა.

და მზიურია ლექსის
ყოველი გაღვება,
შორსაა მისგან გესლი
და ბოლოს მოდის შვება.

ვაშენებ ბედნიერი,
თან სანთელივით ვდნები.
ნახავს ერი და ბერი
ჩემს ტაძარს, ნაშენს ვნებით.

და როცა დავასრულებ,
მეც მაშინ დავმთავრდები,
შევეურთდები სულს
სანთლად ასანთები.

თეთრი აქლამაზი

მიდიან, მიდიან თეთრი აქლამები,
ჭალარა აქლამები, სიზმრის აქლამები...
წინ მთვარე — ბებერი მექარავნე მიუძღვით.
გადაიარეს შავი უდაბნო,
გადაიარეს შრილა ტყეში,
გავიდნენ აქაფებული ზღვის გაღმა.
მიდიან, მიდიან თეთრი აქლამები,
ფიქრის აქლამები,
მძიმე, როგორც ღრუბლები.
ვერავინ დაითვლის, ვერავინ შეაჩერებს,
ვერავინ დააფრთხობს.
მიდიან, მიდიან და კვალი არ რჩებათ.
ვცდილობ, ძილს ვენიო და ვუხმობ
ეჭვნიბიან თეთრ აქლამებს —
ჩემს უძილობას რომ მოერიონ
და დედამინა დამირნიონ,
როგორც აკვანი.

თავზემთ ნამომდგომია
მწუხარებისა ღრუბელი,
დღე-ღამის გაყრის ომია,
ცას ესისხლება უბენი.

გამოდი მთვარე, გამოდი,
ცაში ნუ ჩაიკეტები!
მე შენთან შეყრას ვლამობდი
მიღმა ვარსკვლავთა კერტების.

ო, ეს ერთი დღეც გავიდა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.
ხვალ დაინყება თავიდან
დღე და მეყოფა ხალისად.

გზებს ჩემგან რა შორს მიყავხარ,
ნახვით გული ვერ ვიჯერე.
ათასჯერ გითხარ — მიყვარხარ! —
ერთხელაც არ დამიჯერე.

გავხედნე ლექსი, ვით ცხენი
და დაგადევნე მზის სიტყვა.

ათასი ლექსი გიძღვენი,
შენ ერთიც არ ნაგვიტოხავს.

შენ ჩემს მაგიერ ვის ხედავ,
ნეტავი რა გჭირს ასეთი? —
ათასჯერ მოგიკითხე და
ერთხელაც არ გაგახსენდი.

ირემს მოგიხმობ ირემი,
გულს ხეთქავს გულისნადები.
მხოლოდ შენ შეგენიერი
და შენთვის დავიბადები.

შავი ძაღლებივით იყვებებიან
ავდრის ღრუბლები,
ელვა გველივით იკლაკნება
და სულში ბნელა.
დევის სისხლივით მოჩქეფს წვიმა
და შუაზე გაპობილ ცას აერთიანებს.
ამღვრული ზღვა ნაპირს აწყდება,
როგორც ლტოლვილი თავისი ქვეყნის
საზღვარს.
ფეთქებენ სულში ჭრილობები
დაკარგული სიყვარულის გამო.
ცაზე ჩიტები არ ჩანან და
მინაზე — ადამიანები.
ყველაფერი ნაშალა ავდარმა,
როგორც მხატვარმა,
რომელსაც თავისი ნახატი აღარ მოეწონა
და ტილოს შავი ფუნჯი გადაუსვა.
ნეტავ, როდის გამოიდარებს,
გამოიდარებს კი ოდესმე?
სულშიც ბნელა და
ცაც შეკრულია.

შავი კლდე

ეს ცხოვრება შავი კლდეა,
აბა, რა არის!
გაიპო შავი კლდე,
გამოვარდა შავი ცხენი,
შავი ძაღლი, შავი მამალი —
ღმერთო, ძალა მომეცი
ამ ცხოვრებას გაგუძლო
და სოფელი ავაშენო.
ცხენი ჭიხინებს, ძაღლი ყეფს და
მამალი ყივის —
სოფელს ვაშენებთ.
ნაშავკლდევარი ვართ ღვთის შეწევნით.
ღმერთო, მომზადლე სიცოცხლის ძალა
და შთამაგონე ის ღვთაებრივი
ტკბილი სიზმრები,
ღამეთაგან რომ ამოდლედე.
ძალა მომეცი, ჩემს ნილ სიპ ქვაზეც დავსახლდე და
შავი კლდის თავზეც!

აბალახდება კორდი,
ამზინდება ზეცა.
თვით გაზაფხული მოდის —
იის სურნელი მეცა.

ამიძგერდება გული
და აღმომხდება ლექსი —
ფერადი თაიგული,
ანამღერ-ანაკვნესი.

ვარ სიყვარულით სავსე,
ყველაფერი და ყველა

მიყვარს და მადგას თავზე
გვირგვინი — ცისარტყელა.

ბედნიერების მაცნე
ჭიკჭიკებს ბედის ჩიტი.
ვუსმენ და აღმიტაცებს
საგაზაფხულო ჰიტი.

აბიბინდება მოლი,
ყვავილი ყვავილს ეკვრის.
დამავინყდება თოვლი
მზისაკენ მუხლმოდრეკილს.

სიცოცხლე მიხარია,
თავზე ნათელი მადგას.
მინას გახეთქავს ია,
გაზაფხულია რადგან.

ბრუნავს ნისქვილის ქვა ჩვენს თავზე,
ბრუნავს და წლებს ფქვავს
და წლები იფანტებიან,
როგორც ქარში — ფქვილი.
გაიხედავ და — გაზაფხულია,
გაიხედავ და — თურმე დაზამთრდა.
ბრუნავს ნისქვილის ქვა ჩვენს თავზე,
ბრუნავს და

სულ წალმა-უკულმა გვაბრუნებს;
გვანამცეცებს და გვანიავეს.
ზის მოხუცი მენისქვილე ნისქვილის კართან,
ზოგს ეგებება, ზოგს — აცილებს
და საფქვავე კი არ ელევა,
„ის მაინც ბრუნავს!“

დედამინის პიანო
და მზის ფორტე
და ზღვის ბანი...
სანაპიროზე ნიჟარები და კენჭები
ჩხრიალებენ,
როგორც კაკლები კაკლის ბერტყვისას.
შემოდგომაა, მოსავლის აღების დრო
და კენჭები და ნიჟარები ზღვის მოსავალია.
მოსაუფთავა ზღვამ სანაპირო,
რაც გამოირიყა,
ისევე უკან დაიბრუნა,
როგორც ვალი და სესხი.
დედამინას ეძინება მოსავლით მადლარს
და ზღვა ძუძუს ანოვებს და
მზე უნანავეს.

მზეს ძალიან ნუ მიუახლოვდები —
დაგწვავს!
ისე მიეფიცხე,
მხოლოდ გთბილოდეს და
ნათელში იყო.
აქე, ადიდე, უგალობე, რაც შეგიძლია
და განბანილი სხივთა წვიმით
მუხლმოდრეკილი შეეგებე
მზის ყოველ ამოსვლას.
და არ ინატრო მზეობა, არა,
ადამიანად ყოფნა ინატრე,
რადგან მზე ჩვენი მანათობელი
დღითიღე დნება და იფერფლებს.
ვერც მზის შობას მოსწრებიხარ,
ვერც მზის სიკვდილს მოესწრები.
მზე გაგისტუმრებს — მკვდრის მზე.

უკრაინა, უკრაინა,
უჟანგავი შენ ხარ რკინა.
დაივინყე, რაც გენყინა,
დაივინყე, რაც გეტკინა!

უკრაინა, უკრაინა,
ბევრი ცრემლი დაგედინა,
გულმა ბევრი მოითმინა,
შევარდნების შენ ხარ ბინა.

უკრაინა, უკრაინა —
გმირთა მხარემ გაიბრწყინა
და ცხოვრება დაცემულს
ომში, უკვდავია ვინაც.

უკრაინა, უკრაინა,
უცხო შუქი მოგეფინა,
მზემ შენთვისაც გაიცინა —
დაივინყე, რაც გეტკინა!

თბილისი ჭრელია,
აქ ხალხია ნაირ-ნაირი.

ზოგს ისე აცვია,
თითქოს სამხატვრო აკადემიას ეკუთვნოდეს.
ზოგს ისე აცვია,
თითქოს თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდეს.
გაივლიან და გამოივლიან
და ჩაცმულობით სულ იოლად გამოიცნობ,
თუ ვინ ვინ არის.
თბილისი ჭრელია,
აქ ხეებია ნაირ-ნაირი.
გაზაფხულზე და შემოდგომაზე
იცვლიან სამოსს,
როგორც გოგონები გათხოვებამდე,
რადგან გათხოვების შემდეგ ისინი
ქალიშვილობისდროინდელ კაბებში ვეღარ ეტყვიან,
როგორც ორსული ხეები, რომელთაც
უხვად ასხიათ ნაყოფიც და ფოთლებიც.
თბილისი ჭრელია
და მტკვარი სარტყელივით შემოვლებია.
ამ სიჭრელეში ჩანს თბილისური ჩაცმულობა,
რომელსაც სტილი არ გააჩნია
და ქართულია.

მნიფე ვაშლებს ჰგავს
ანთებული ლამპიონები ეზოში და
ლამის ნიაღში ჩაბნელებული სახლები დგანან,
როგორც თვალბედათხრილი დევეები.
ფეხისწვერებზე მიიპარება მთვარე მალაღი —
განთიადი ახლოვდება, როგორც განაჩენი
დროისაგან განწირული გუშინდელი დღისა.
ვინ იცის, როგორი იქნება ხვალინდელი დღე,
რით გაგვახარებს, ან რით დაგვამწუხრებს,
რას მოგვიტანს, ან რას ნაგვართმევს.
სძინავს ეზოს და არ სძინავს მთვარეს —
დარაჯს ჩვენი საგანთიადო სიზმრებისა.
მნიფე ვაშლის სურნელი ტრიალებს ჰაერში
და ხეები ქანაობენ, როგორც მთვრალეები,
რადგან ქარმა წამოუბერა — მაცნემ განთიადისა.
ო, რა იმედით შევყურებთ ხვალინდელ დღეს
დღევანდელი დღით უკმაყოფილო.
ჯერ კი ბნელა და
ლამპიონების მრავალწერტილი
ჩანს ლამის ბოლოს.

ხმა ვარსკვლავთა ორკესტრის,
სავსე მთვარის სოლო
მგზავს, ზეცაში მოხვედრილს,
სურს, თან გაიყოლოს.

ციდან ცამდე დადიან
ჯადო-მოგზაურნი
და ადგილებს მადლიანს
ხსნის ღრუბელი ჟრუნის.

ქუდი უჩინმაჩინის
მგზავს ახურავს თავზე.
ზომავს თავის არშინით
გზას ხიფათით სავსეს.

ეკითხება ვერავინ
„აქ რამ მოგიყვანა?“
არის ცათა მზვერავი,
იმკის ციურ ყანას.

ცაში დრო არ არსებობს,
არ ითვლიან ასაკს.
ო, ვარსკვლავთა დარებო,
აქ ვინ მოგათავსათ?

ისმის ირგვლივ ჰანგები,
სავსე მთვარის სოლო...
თუმცა გავითანგებით
ყველა ამ გზის ბოლოს.

მე ბევრი რამის მეშინია და
ყველაზე მეტად
თავისუფლების დაკარგვისა მეშინია.
ო, რა ტკბილია თავისუფლება,
როცა არავის ჭკუაზე არ დადიხარ და
შენი თავი შენად გეყუდნის!
როცა ამოხვალ შენს ნებაზე,
მინას გაარღვევ, როგორც ბალახი
და გადაუვლი ყველა ნანგრევს
ახალი ძალით;
როცა იფეთქებ და აყვავდები
ხმელი რტოების დასაფარავად,
როცა არ არის შენ-ჩემობა სიყვარულში
და არავის მონა არა ხარ.
მეშინია თავისუფლების დაკარგვისა,
რადგან ჩემი ძალა ჩემს მარტობაშია.
ჯერ-ჯერობით ვარ თავისუფალი და ბედნიერი
და ნუ იქმ, ღმერთო, რომ დავეკარგო თავისუფლება,
ვინც არ უნდა გმირთა-გმირი მომეპატრონოს.



თემურ გაბუნია

როცა მიზღუდავს ვილაც არჩევანს,
რა გავაკეთო, როცა არ ვიცი,
თუნდაც კვდებოდეს, მძორს ვინც არ შეჭამს,
გამახსენდება მაშინ არწივი.

ნოემბრის თქემი თბილ ამინდს არეგს,
ის გადარჩება, ვინც ამტანია...
ალბატროსივით ვინც მისდევს ქარებს,
სუსხია, ცხელა თუ ავდარია.

ალბათ ძნელია, ცას რომ აეკრა,
იფრინო, თუნდაც წვიმდეს, ელავდეს.
ისიც რთულია, გაძლო სხვა ქვეყნად
გადაფრენიდან — გადმოფრენამდე.

თუმცა მე უფრო ბელურა მიყვარს,
ის ნაკლებად ჰგავს გადამფრენ ჩიტებს.
შიშნისაღაც უძლებს მტკიცედ და დიდხანს,
გრძნობს, გაზაფხული დადგება კიდევ...

შორს, თბილ ქვეყნებში წასულნი ნეტა
ხომ არ დააფრთხო შორ გზამ ჩვენამდე.
იქნებ მათ უჭირთ ყველაზე მეტად
გადაფრენიდან — გადმოფრენამდე.

ყინულისა და ცაცხლის სიძლიერა

რალაც ისე ვერ გითხარი ალბათ,
რალაც ისე ვერ გაიგე, მგონი.
დღესაც ჭრელ-ჭრელ იგაგებში ვქარგავ
ზღაპარს ცხელი ქარისა და თოვლის.

მზე გვირგვინად ადგას თავზე მყინვარს,
უდაბნოში ქარი მღერის სოლოს.
ვისაც ძველი მეგობარი უყვარს,
გული მიგრძნობს, გაიმარჯვებს ბოლოს.

ახლაც ყვავის სადღაც თეთრად ნუში,
მის უკან კი დათოვლილი მთაა.
ის, ვინც სახლში არ დაბრუნდა გუშინ,
ჩემი ომში დაკარგული ძმაა.

სულში ისევ უცნაურად დათბა,
სწრაფად გადნა გაზაფხულის თოვლი.
რალაც ისე ვერ გითხარი ალბათ,
რალაც ისე ვერ გაიგე, მგონი.

ისევ მოფრინდა მერცხლების გუნდი,
ცაში ირევა და წრეებს ხაზავს.
მახსოვს, ძველ სახლში როგორ დაბრუნდი,
როგორ მიყვარდი ძლიერ და ნაზად.
ჩემი მეგონა სამყარო მაშინ,
თავს ვინონები მინიერ ცოდნით
და ვერ ვხვდებოდი, სამოთხის ვაშლი
არ მეკუთვნოდა არასდროს ცოდვილს.
არც ის ვიცოდი, სად იყო ზღვარი
ნებადართულს და აკრძალულს შორის.
ჩვენს ფეხქვეშ მინა მეგონა მყარი,
თითქოს ამქვეყნად ვიყავით ორნი.
ბაღში კი შაშვი მღეროდა სოლოს,
ჰორტენზიები ყვავოდნენ თეთრად,
ლამის საუბრებს არ ჰქონდა ბოლო,
მახსოვს, მინდოდა, რალაც რომ მეთქვა...
და ისევ მინდა, თვით ნღების შემდეგ,
თუმცა აღარ ხარ ჩვენ გვერდით ახლა.
ამ ლექსს კი, როგორც დაცემის შედეგს,
აკრძალულ ხილის სურნელიც ახლავს.
ისევ მოფრინდა მერცხლების გუნდი,
ცაში ირევა და წრეებს ხაზავს.
თითქოს ძველ სახლში ისევ დაბრუნდი,
თითქოსდა ახლაც მიყვარხარ ნაზად.

თუ ეძებ ძველ გზას, დაკარგულს ნისლში,
ნატრობ დიდებას, სიმდიდრეს უღვეს,
ბოლოს მოიხვეჭ ორივეს შიშით,
თუმცა შიშითვე დაკარგავ თურმე.

მაგრამ სულ სხვაა, ქრისტეს სახელით
თუ ითხოვ ნათელს, სულის ცხონებას,
ბრმადყოფილივით თვალბეახელილს
მოგელის სხვა მზე და სხვა ცხოვრება.

ახალი ცა და მინა ახალი
ამობრწყინდება როცა ღამიდან,
დაგავიწყდება, რაც გაქვს ნანახი,
გზას შეუდგები ისევ თავიდან.

ნუ ეძებ სიბრძნეს ცრუს და მინიერს,
რადგან ნამია სიცოცხლე კაცთა.
უჟამო ჟამი შეუცვლის იერს
ყველას, ვინც გაძლო და გზას არ აცდა.

პოეზიის ლოცვა

პოეზია ჩვენი არსობისა
მოგვეც ჩვენ დღეს, უფალო,
რათა არ თქვას მტერმა:
დაუცველი ვნახეთ და ვძლიეთ,
დაეცა და
მინაზე ვათრიეთ.
ყველა განზე გადგა ბრძოლის წინ.
მხოლოდ შენ თუ გვიხსნი.
სიტყვა ნათელი და მართალი
მოგვეც ჩვენ,
მახვილები მხილებისა რომ ავილესოთ,
რომ არ თქვან ჩვენზე:
ორ ბატონს ემსახურეს,
არაკაცის ქუდი დაიხურეს,
შენი ჯვარი იმძიმეს...
ჭეშმარიტი პოეზია
მოგვეც ჩვენ, ღმერთო,
რადგან ისაა პური ჩვენი არსობისა...

მე ახლა მხოლოდ ცუდ სიზმრებს ვხედავ,
ქარი კუბოებს ერთმანეთს ახლის.
ხატებთან მიდის მოხუცი დედა,
უნდა ლოცვებით გაათბოს სახლი.

განკითხვის დღეა მომდგარი კარზე,
თუმცა ბინდი დიდხანს ვერ გასტანს.
ჩემს გულს ლოცვები იმედით ავსებს,
შეგვიმსუბუქებს უფალი ტანჯვას.

მაგრამ მანამდე კაენის წყევლა
ზოგს მარცხს უქადის, ზოგს — გაორებას.
ვილაც დაცემულ სულების ქცევას
აპირებს ჩამქრალ მეტეორებად.

ისევ უმძიმეს ლოდით მანევს
ომში დაკარგულ ძმის მოგონება.
გადაიქროლეს მთვარიან ცაზე
ვარსკვლავ-ბიჭებმა და გოგონებმა.

ვიცი, ცოტაა სიცოცხლე ერთი
დასახულ მიზნის შესასრულებლად.
ხან ბევრ გასაჭირს მოგვაგებს ღმერთი,
ხან ნათელ დღეებს გვაძლევს უღვევად.

მე ახლა მხოლოდ
ცუდ სიზმრებს ვხედავ,
ქარი ხის ტოტებს
ერთმანეთს ახლის.
ხატებთან მიდის მოხუცი დედა,
უნდა ლოცვებით გაათბოს სახლი.

ძნელია, გვერდი რომ აუარო
იმ ქალს, რომელიც შეიქმნა შენთვის.
ვერ შეამჩნიო ან თქვა უარი
განძზე, რომელსაც გაჩუქებს ღმერთი.

არ შეიძლება, გაჩუქდე მაშინ,
როცა სიჩუმე სიმბდალეს უდრის
და არ დაბრუნდე ბავშვობის სახლში
მოგონებებით სულ ერთი ნუთით.

არ შეიძლება, რომ არ ისურვო
ფეხზე დადგომა ნაქცევის შემდეგ.
იმედი უცებ გადაინურო,
არ დაელოდო ბრძოლების შედეგს.

ცუდია უქმად გაფანტო ნიჭი,
მთავარი საქმე გადადო გვერდზე...
ან თქვა უარი, როდესაც გიჭირს,
გადასარჩენად გამოწვევილ ხელზე.

ისინი, ორნი, ფოტოში საკუთარ თავს კარგავდნენ. ფოტოაპარატი ან ტელეფონი, სამწუხაროდ, ვერ აღწერდა, ვერ გადმოსცემდა და ვერ უჩვენებდა ადამიანს მათ თვალს, და ასე დაემართა მას, როცა სტუმრად მყოფმა უნებლიედ მეორედ გაიციონო ის და, რა თქმა უნდა, იგრძნო, ასევე მიხვდა, თანამედროვე სამყაროში, როგორც მოიხსენებდნენ 21-ე საუკუნის პიროვნებები, სიტყვა რომ ეთქმოდათ საზოგადოებაში.

ახლა იგი კართან დგას და საცაა დააკაუნებს.

ბავშვობიდანვე უჩიჩინებდა და, რომ საამაყო ცისფერი თვალები ებადა. მართლაც, უცხო ცისფერი თვალებით იშვა. ძლიერ, ძლიერ ცისფერი იყო, მერე კი, როცა ქალობაში შეაღწია და მაკიაჟის ნასმის ნადილმა შეაწუხა, გაუღივდა, რაც მეტ სიმშვენიერეს სძენდა, ვიდრე მუქი ცისფერი, რომელსაც სილურჯედვე ცოტალა აკლდა. ხოლო მის დას პირიქით დაემართა...

იქამდე კარგა ხნით ადრე, სანამ დები მარტო გადაცხოვრდებოდნენ, უფროსი და სამზარეულოში სეფის იღებდა. ზამთარი იდგა. სახლში ახლადმოსულს, რასაკვირველია, მაღალყელიანი თეთრი ჯემპერი და შავი ტყავის პალტო ჯერ კიდევ ემოსა. უმცროსი და — ლიზა — კარის გაღების ხმაზე ჩამოვიდა და სამზარეულოს შესასვლელთან, კედელზე აიტყუა ჩუმად, თავის ჭკუით შეუმჩნევლად. უფროსი და — რუსო — სკამზე შემოჯდა, ყელსახვევით თვალებამდე სახე დაიფარა და რამდენიმე სეფით დატკბა. შემდეგ მაკიაჟიდან ლუდის ბოთლი გამოიღო, გასახსნელით გახსნა და ერთი მოყუდებით ნახევრამდე გამოცალა. ლიზა ისევე ჩუმად აბრუნდა საძინებელში. თითქმის ეძინა უკვე. რუსო შევიდა. მას, როგორც სჩვეოდა, მოიყრუა და იმ ხმით, რომ თითქმის მძინარე ლიზას გაეგო, ჩაჩურჩულა, მალე შენც გადაიღებ სეფებს და შენი თვალებით დატკბები, და ანთლებულ ლოყაზე აკოცა, და არეული ნაბიჯებით გავიდა. დილას ლიზამ ინსტაგრამზე სელფი მოუწონა და კომენტარები ნაიკითხა, რომელთა ავტორებიც რუსოს სილამაზეს და თვალებს აქებდნენ. გარეთ კი დათოვლილ ხეზე ჩიტი იჯდა და ზამთრის მზის უსუსური სხივები საბანივით ეფარა.

ამასობაში გამოხდა ხანი და მარტოები აღმოჩნდნენ ახლადშეძენილ ბინაში. ლიზასთვის განსხვავებული დღე გათენდა, რადგან, რაც მოელოდა, არ ჰგავდა ჩველი დღეებს და ვერაფრის დიდებით დაემსგავსებოდა. რუსომ მშვენივრად უწყოდა, რასაც ელოდა. იმ დააკაუნებამდე, იმ კარის გაღებამდე, ლიზამ ყველაფერი დაფქვა. მოყლისას ეწყინა და გაუბრაზდა უფროსი და, აქამდე რატომ არ მითხარიო, მაგრამ საბოლოდ წყენა მიივიწყა და რჩევა-დარიგებები მისცა, პირადი გამოცდილებაც გაუზიარა.

მათ შორის ასაკობრივი განსხვავება დიდ როლს არ თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ უმცროს დას ნლებით აღემატებოდა. ძლიერ კარგი დედა ჰყავდათ, მამაც! შეიძლება ითქვას, რომ იდეალურიები, თუმცა დედის მოვალეობას მუდამაჟამ რუსო ითვისებდა. ერთ საძინებელში დაჰყევს რუსოს სკოლის დამთავრებამდე, ერთ სკოლაში დადიოდნენ. ლიზას სკოლის ამბებს რუსოს ეუბნებოდნენ, რათა დედისთვის გადაეცა. ის, რასაკვირველია, ოჯახს ამა თუ იმ დანაბარებს უმძლავრდა ან ცვლიდა, რითაც ლიზას გულს იგებდა და ნდობას იპოვებდა. უმცროსი და მიხვდა, რომ მისთვის რაიმეს დამაღვას აზრი არა ჰქონდა და ღამე, ძილის წინ ამბებსა და გულისნადებს უზიარებდა. ისიც უსმენდა და უსმენდა, გულმოდგინედ უსმენდა, ეხუტებოდა, ამხნევებდა. მიაჩნდა, რომ რაოდენ სასაცილოც არ უნდა ყოფილიყო ესა თუ ის მონაყოლი, უმცროსი დისთვის სასიცოცხლო იყო. ნელ-ნელა ისიც ისწავლა, რომ ლიზას შესწევდა შრომისმინისა და მაღლიანი სიტყვის თქმისა, ამიტომ არა მხოლოდ მსმენელად, არამედ მთხრობლადაც იქცა, და ეს ორნი ისე ავსებდნენ ერთმანეთს, როგორც გული გონებას, ანდა გონება — გულს. შემდეგ რუსომ სკოლა დაამთავრა, ცალკე საძინებელში გადავიდა და მალევე მარტოები შეეჭიდნენ წუთისოფელს. მშობლებმა კი დების წასვლიდან ერთ-ორ წელში სამყაროს ტყუპი გოგონები მოუვლინეს ცისფერი თვალებით.

— ადექი! დროა უკვე. ვერ მოასწრებ მომზადებას, — და მძინარე ლიზა შეაჯანჯლდა.

კონსტანტინე კაპანაძე



**ცისფერი თვალები
ნითელი ტურსაცხით**
ედვენება დებ დუშუაშვილებს

ლიზამ ცალი თვალი გაახილა. გვერდულად იწვა. ტელეფონს დასტაცა მარჯვენა ხელი. გასწორდა. ზურგზე დანვა. თვალებით ტელეფონის ეკრანს შეჰყურებდა. რუსომ კარი ღია დატოვა. სამზარეულოში ტრიალებდა. ხმები აღწევდა საძინებელში. მან დააბთქნა. მარჯვენა ხელი პირზე აიფარა. გაიზმორა და ამოიხვეწა. ბალიში აინია. მოკალათდა. ჯერ მესიჯები შეამოხმა, რამდენიმე ადამიანს პასუხი დაუბრუნა, ინსტაგრამზე ამბები დაათვალიერა, ფეისბუქზე შეიჭყიტა, კომენტარები დატოვა, ფოტოები და სტატუსები ნახა, მერე ტიკტოკზე გადავიდა, ვიდეოებს უყურა, თან სიგარეტს მოუკიდა და ტუმბოდან საფერფლე ლოგინზე გადმოდო, რათა იქვე ჩაეფერვლებინა და გადახრა არ დასჭირვებოდა.

— გოგო, ადექი, ადექი. დასაბანი ხარ. სალონში წასასვლელი. ადექი, ადექი, — ომახიანად შემობრუნდა.

— ჰოო, ვდგები, ვდგები, ვაა.

მაისი იწურებოდა. როგორც ყოველთვის, მაისმა იმანისა. დილიდან შუადღემდე ცხელოდა, ოღონდ არა აუტანლად, სასიამოვნოდ, გულს რომ გაუხარდებდა, ისე. მერე ნიავი უბერავდა, რაც მზის ჩასვლამდე შვებდას აფრქვევდა. მზის ჩასვლისას ოდნავ გრილდებოდა, მაგრამ ასატანად, ისე ასატანად, რომ ვერც ფიქრობდი ატანაზე. თვის დასანყისში იწვიმა, თითქმის უმზეო და ქარიანი დღეები მოაყოლა. აპრილის გადმონაშთი! გრძელი და ღრმა ზაფხული კარს მოადგათ. ასე იწურებოდა მაისი. მაისის შუადღე იყო. ცხელოდა...

ხალათი მოიცვა, ტელეფონი ჯიბეში ჩაიგდო და სამზარეულოში გავიდა. სანამ მაგიდას მიუჯდებოდა, თეთრი ჭიქა გამოიღო, ყავის აპარატიდან კაპუჩინო დაისხა, ერთი კოვზი შაქარი ჩაიყარა და მოურია. რუსომ საუზმე დაახვედრა.

— ჰა, აბა, დღეს რას შვებ? ნერვიულობ? — მიუჯდა რუსო.

რუსოს ბავშვობაში შავი თმა ჰქონდა. სველი თმის გამშრალეობისას არ უფუფევდა

ბოდა. ახლა ქერად შეეღებდა. პროფილით როცა იდგა, სწორი ცხვირი უჩანდა. მის სქელ ნესტოებს განიერი და მყვინარა შუბლი ზედმიწევნით ეხამებოდა. დისგან განსხვავებით, ქათქათა თეთრ მაჯაზე სამაჯურებს იკეთებდა. საათი და სამაჯურები იცვამდა, რადგან სიმალღე აკმაყოფილებდა და გაიტახოდა, რომ მაღალქუსლიანები ასიმეტრიული სხეულის იერს ანიჭებდა, და მართალიც გახლდათ. მისი საყვარელი მანიკურის ფერი იასამინისფერი იყო. შვერიდა აპრუხილი ტუშინი ნაწმამები და იასამინისფერი ფრჩხილები.

— დასაბანად შეგვარდები, ხუთისკენ მოვა. ხო იქნები მანამდე? — ყავა მოსვა.

— კი, კი, აუცილებლად. მანახე მანიკური, — თითქმის დახვდა, — კარგად გაუკეთებია. პედიკურიც გაიკეთე?

— ხო, აბა, — დადო ჭიქა, — კაი, ვიბანავე ახლა. სალონში გამომყევია.

საძინებელში ტანთ გაიხადა და მხარზე პირსახოცი გადაიკიდა. აბაზანაში შესვლამდე, ძალიან, ძალიან ცოტახნით საკუთარ თავს დიდ სარკეში დააკვირდა და ჩაიციინა. შუქი აანთო. ცალ ხელში ტელეფონი ეჭირა, მეორეში — სანთებელა და სიგარეტი. პირსახოცი საკიდეზე ჩამოკიდა. ცხელი წყალი მოუშვა. უნიტაზზე დაჯდა. სიგარეტს მოუკიდა, თან სოციალურ ქსელებში დაძვრებოდა. იმის მონერილი ხელახლა ნაიკითხა. ტელეფონი პირსახოცში გაახვია და ნიჟარაზე დადო. ნამწვი ჩარეცხა. აბაზანა ორთქლით ივსებოდა. შხაპის ყურმილით ცხელი წყალი გადაივლო, ღრუბელი აიღო და ზედ შხაპის გელი დაასხა. წყალი გადაკეტა. მიყოლებით გაიხვია მარცხენა ლავინი, მხარი, იდაყვი და მაჯა. ამოისუნთქა, ძალა მოიკრიბა და ბარძაყზე გადავიდა. ბარძაყიდან წვივზე ჩავიდა. ახლა ღრუბელი მარცხენა ხელზე ჩამოიცვა და იგივე მიმართულებით გაიხვია მარჯვენა მხარე. მერე ჩამოჯდა. აბაზანა ორთქლით გაივსო. პირსახიანის სარკე დაიორთქლა. ჩამოშვადრმა ფეხები გაშალა და

განითლებამდე გაიხვია ქუსლები და ტერფები. ტერფებს რომ მორჩა, ღრუბელი გაიხადა, გადადო და შამპუნი დაისხა თავზე. ხელისგულებით აიჭაფა თავი. შხაპის ყურმილიდან ცხელი წყალი მოუშვა. თავი და ტანი ჩამოიბანა. ნითლად შეღებულ ფეხის თითებზე ქაფი და წყალი ირეოდა.

ნელზე პირსახოცებმოხვეული და სველი აფუებული თმით ლოგინზე ჩამოჯდა. მოლერებულ მკერდს წამიერად დახვდა.

— ჩაიცვი და ნავედით. მზად ვარ მე, — და ლიფი გაუწოდა, — ცოტა ხელის კრემი წაისვი!

სალონში დიდხანს დაჰყევს. ჩანერილი კი იყო, მაგრამ ვილაც ქალს დააგვიანდა და ლოდინი მოუწიათ. ლიზამ თმა დაივარცხნა და ბოლოები შეიჭრა.

საბედნიეროდ საცობებს ასცდნენ. ლიზა ტელეფონს დაჰყურებდა წამდაუნთხებულ ვასწრებ, ხო ვასწრებო...

რუსომ ოთახში შეიყვანა.

— მაკიაჟი დაგრჩა, დაგეხმარო?

— არა, არ მინდა. ჩემით ვიზამ. მაგას არ მასწავლელი სულ, — გაუღიმა.

— კარგი. ზალაში გავალ. მანამდე ისიც მოვა და კაკრავ მზად იქნები.

ლიზამ იქაურობა გაანათა. სარკეზე მიმაგრებული ოთხი ნათურა აანთო. მზეც იჭრებოდა ფანჯრებში. უჯრები გამოალო. ჩაისუნთქ-ამოისუნთქა. დამატენიანებელი კრემი არათითით ცხვირზე წაისვა და ოთხი თითით, ცერა თითის გამოკლებით, ყვრინალებზე, ნიკაპზე და თვალის უბნებზე, ასევე ყელზეც და შუბლზეც, ოღონდ ცოტა. მაკიაჟის სარჩული დამატენიანებელს გადაატარა. ნიკაპზე ოდნავ მეტი გაიკეთა, ვიდრე დამატენიანებელი. ტონალური ხელზე დაისხა და სახე დაიფარა. შუბლზე რატომღაც დრო მონადლო და სარკეს შეხვდა, უყურებდა და უყურებდა, და მიხვდა, რომ ტონალურმა ყველაფერი ვერ დაფარა, ამიტომ მუქი და ღია ფერის კონსილერი ამოიღო უჯრიდან. მუქი ფერის ნაწმამების ქვეშ, თვალებზე გადაისვა, ხოლო ღია ფერი იქ წაისვა, სადაც ტონალური ლაქების სახით ემჩნეოდა. კონსილერს პუდრი მოაყოლა. იგი პუდრს მუდამ ხმარობდა. მერე მკრთალი, ძლიერ მკრთალი ბრინჯაოსფერი მიანიჭა ყვრინალებს, შუბლს. თმის ხაზზეც გადავიდა შუბლიდან, რათა, როგორც რუსომ ასწავლა, კარგად გადანანილებულიყო. პუდრის შემდეგ ნითელი ფერუმარილი მოიმარჯვა. ლოყები და შუბლი აინითლა, მაგრამ რადგან ტუჩები ნითელ ტუჩსაცხს უნდა დაემშვენივნინა, და გადაჭარბებული სინითლე არ მოსვლოდა, იმ პუდრით გაილიავა, რომელიც მანამდე გამოიყენა. ბოლოს ფუნჯით ოქროსფრად გაათეთრა მაკიაჟი. ახლა თვალების ჯერი დადგა. ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ მთავარი როლი ტუჩებს შეესრულებინა და გადაწყვიტა თვალების ნახად, მსუბუქად გაკეთება, თან მისი ცისფერი თვალები, რა თქმა უნდა, ყელმოდერებული იყვირებდა. თვალები თვალის ჩრდილით დაიმუშავა. სანამ თვალის ყალამს წაისვამდა, შეისწორა თვალის ჩრდილი და წინასწარ გაიგო, სად მოუწევდა თვალის ყალმის გამოყენება, და წამწამებიც აიპრინა და ტუშიც წაისვა. თვალებს რომ მორჩა, ტუჩებზე გადავიდა. ტუჩებზე, უპირველეს ყოვლისა, ნითელი ტუჩის ფანქარი გადაისვა. ამას კი ნითელი ტუჩსაცხი მშვიდად, აუღელვებლად მიამარა, და გაჩერდა. ისევ სარკეში დააკვირდა სახეს და მოეწონა, და აღფრთოვანდა, და ამყამა გამოიღო კარადიდან კაბა. ღია კრემისფერი ამოღებული კაბა ჩაიცვა და ფეხზე თეთრი მაღალქუსლიანები, რომელშიც ნითელი ცერა უჩანდა. ოქროსფერი პატარა საყურეებით დაამშვენა ყურები და ყელი ოქროსფერი ყელსაბამით. ლოგინიდან ოქროსფერჯაჭვიანი პატარა კრემისფერ-მოთეთრო მხრის ჩანთა აიღო და მისაღებში დასწავლა.

— ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ხარ! ეს ნითელი პომადო, ნითელი მანიკური, საოცარია, საოცარი! და თვალები, ჩვენი დიდი თვალები!

განითლდა.

— ექვსი დაიწყო. მოვა ნუთი-ნუთზე.

და მართლაც, მალევე სტუმრად მყოფმა, შემთხვევით რომ გაიცნო მეორედ, კარზე დააკაუნა.

რუსომ აიგინდა გადახედა მათ. მძაფრი და უცხო, აქამდე ვერ დაჭერლი მზერა გააყოლა. მზერაში თან უხაროდა, თან ნალვლობდა. იგი ცისფერთვალება ტყუპებს მიუბრუნდა.

ბინასთან ერთად ბაბუისგან ნიგნების თაროებიც ერგო. შრიგად განლაგებული 21 ცალი ჩეხური თარო ნიგნებით იყო გამოტენილი. ბევრი ქართული, ნაკლები რუსული და ცოტა ინგლისური ნიგნი იდო ყავისფერშუშთან თაროებში. ბაბუას თავის დროზე კატალოგიც შეედგინა (ერთ-ერთ ზედა თაროზე იდო ახლა ც), თუმცა ის უკვე აღარ ასახავდა ნიგნების რეალურ განლაგებას და ძირითადად რელიკვიის ფუნქციონალა ჰქონდა. თითქმის ყველა ნიგნი ბეჭედი ჰქონდა დასმული (ძირითადად ფორმაც-ზე), ბეჭედი გვამცნობდა, რომ კონკრეტული ეგზემპლარი ბაბუას ნიგნებიდან იყო, იქვე იკითხებოდა ბაბუას მიერ ჩეხური ფანქრით მიწერილი ნიგნის რიგითი ნომერი (კატალოგისთვის).

ძალიან უყვარდა ეს თაროებიც და მასში განთავსებული ნიგნებიც. ბავშვობაში, როდესაც ბაბუაც ცოცხალი იყო, ბებიაც, მამაც და დედაც, უეცრად ნიგნების დალაგებას გადაწყვეტდა ხოლმე. დაიწყებდა ხოლმე ქვედა პირველი თაროთი, შუშებს მოხსნიდა, ნიგნებს გამოალაგებდა, სველი და კარგად განურული ჩვრით ჯერ თაროს გამოასუფთავებდა, მერე ნიგნებს განმეხდდა სათითაოდ, ნიგნებს ისევ უკან შეაწყობდა იგივე განლაგებით (კატალოგსაც მიიხმარდა ხოლმე) და ბოლოს შუშებს ჩასვამდა თავიანთ ადგილას. ამ პროცედურას საკმაოდ ბევრი დრო სჭირდებოდა და ყველა ნიგნის დალაგება რამდენიმე დღითაც და ხანდახან კვირითაც გრძელდებოდა ხოლმე (ზოგჯერ არც სრულდებოდა), მაგრამ მას ეს მოსწონდა და ამ პროცესში ახალ ნასაკითხ ნიგნებსაც აღმოაჩენდა ხოლმე.

რომ გაიზარდა ბაბუის ნიგნებს თავისი ნაყიდებიც დაამატა, ბევრი არა, მაგრამ ახლები, ისეთები, თავად რომ აინტერესებდა და უმრავლესობა ბოლომდე რომ ჰქონდა ნაკითხული. ისინი სხვადასხვა თაროში ჰქონდა განთავსებული, არსებულ ნიგნებს ზემოდან აწყობდა და კატალოგს ბოლოში ცალკე ნაწილი დაამატა მათ აღსანიშნავად. იყო სელიფერი, იყო მანი, იყო მორავია, იყო პირანდელი, იყო მარკესი, იყო ბორხესი, იყო მორჩილაძე, იყო ბულაძე, იყო დოლენჯაშვილი, იყო ტოგონიძე, იყო დოჯსონი და იყო დეისაძეც კი. რუსი არც ერთი, რუსულად არც ერთი, ეზიზღებოდა ყველაფერი რუსული, მათ შორის ნიგნებიც და რუსი ავტორებიც. ეზიზღებოდა საუბრები ორ რუსეთზე და იმაზე, რომ რუსებს კარგი მწერლები ჰყავდათ, „მრავლისმეტყველი“ სახით იმის მტკიცება, რომ მტრის ენა უნდა იცოდეს და მსგავსი პრიმიტიული სისულელეები. სწორედ ამიტომ, დაბადების დღიდან ბავშვობიდან დაიწყო თავისი ქალიშვილის დაცვა ყველაფერი რუსულისგან. არც რუსულს ასმენინებდა რაიმეს, არც აყურებინებდა, რუსულს არაფერს აჭმევდა, არც ასმევდა და შვილის საგანმანათლებლო პროცესიც ისე წარმართა, რომ რუსული ენა არ ესწავლა.

მას ელისო ერქვა, ქალიშვილს — ნინა. ნინას ხატვა უყვარდა. ადრეული ბავშვობიდან გამოავლინა ინტერესი სახვითი ხელოვნების მიმართ. ელისოს კი უყვარდა მხატვრობა, ნიგნების ორი თარო ცნობილი მხატვრების რეპროდუქციებსაც ეთმობოდა და ბავშვობაში ხშირად ათვალიერებდა, ცდილობდა, გადმოეხატა კიდევ, მაგრამ არ გამოსდიოდა. იარა ხატვაზე, მაგრამ უშედეგოდ — მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვირვებას განსხვავებით, ხატვის პროცესის მისთვის ძალიან მოსაბეზრებელი და დამთრგუნველი იყო. სამაგიეროდ ნინა ხატავდა დიდი ხალისით. სულ სუფთა ფურცელს ითხოვდა, ხელები ხან ფლომასტერით, ხან პასტელით, ხან აკვარელით, ხან გუაშით, ხან ზეთის საღებავით ჰქონდა დათხრილი. ხატავდა, ბევრს ხატავდა, ხან რას, ხან რას. ფურცლებზე რასაც ხატავდა, იმათგან საუკეთესოებს არჩევდა, დედის საძინებელ ოთახში შეჰქონდა, რომელიმე თაროს შუშას გადასწევდა და თაროში დებდა.

პირველი ნახატი მეცამეტე თაროში შედო. სტაფილოსფერი კურდღელიაო, ნინამ უთხრა დედას. ფიგურა ძალიან ცოტათი ჰგავდა კურდღელს, მაგრამ ცალსახად სტაფილოსფერი გახლდათ. მას შემდეგ ბევრი რამ დახატა, ყოველ ჯერზე უკეთესი და უკეთესი იყო. ჯერ ბაღში ხატავდა, შემდეგ სკოლაში, მალე ხატვაზე სიარულიც დაიწყო, ტექნიკა დახვეწა, მანერა გამოკვეთა და ავტოგრაფის დატოვებაც დაიწყო



ყო ნახატის მარცხენა (და არა მარჯვენა) ქვედა კუთხეში, ეს შეიძლება იმიტირებ, რომ ცაცია იყო. თითო თაროზე საშუალოდ სახუთ ნახატი ეტოლდა. მეცამეტე რომ შეავსო, პირველზე გადავიდა, შემდეგ მეცხრამეტეზე, შემდეგ მეოთხეზე, შემდეგ მეხუთეზე და ასე შემდეგ.

ელისო ბავშვობაში ბევრს კითხულობდა, მაგრამ ნელ-ნელა დაანება ნიგნების კითხვას თავი. ნიგნით ხელში განმარტობულად წილის, ან ჯდომის, ან თუნდაც დგომის დრო აღარ ჰქონდა, აღარც ხალისი, უფრო მაინც დრო. თან ნიგნები ნელ-ნელა ნინას ნახატებით დაიფარა და უკვე ვეღარც ხედავდა ბევრ მათგანს. რაც აინტერესებდა, იმას ინტერნეტშიც ნახულობდა, ხან ლეპტოპით, ხან მობილური ტელეფონით. რაღაცებს კითხულობდა, რაღაც-

ების მხოლოდ ანოტაციებს, სინოფსისებს, ფლოტებს ან აღწერებს, რაღაცების პირდაპირ ეკრანიზაციებს უყურებდა, რაღაცებს საერთოდ იკიდებდა. სამაგიეროდ ახლა ნინას შეუყვარდა ნიგნები. არ ალაგებდა, არ წმენდდა, მაგრამ კითხულობდა. მივიდოდა თაროსთან, შუშას გადასწევდა, თავის ნახატს აიღებდა, ნახატის უკან მდებარე ნიგნებს შეხედავდა და ცდილობდა მათგან ამოერჩია მომდევნო ნასაკითხი ნიგნი. თუ არც ერთი არ მოეწონებოდა, ნახატს უკან დააბრუნებდა და სხვა ნახატს აიღებდა. ადრე თუ გვიან აუცილებლად პოულობდა მისთვის საინტერესო საკითხავს.

სკოლის დამთავრების შემდეგ ნინამ სამხატვრო აკადემიაში ისწავლა, იქაც ბევრი ხატა, სხვა რაღაცებზე შეითვისა, ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, დაფი-



ნანსება მოიპოვა და მაგისტრატურაში სასწავლებლად ჩეხეთში გაემგზავრა. პანდემიაც დაიწყო, მსოფლიო პანიკამ მოიცვა, ჩაიკეტა ყველაფერი, დედა უმუშევარი დარჩა — შეამცირეს. დიდხანს ეძება, მაგრამ ვერაფერი იპოვა, ვეღარ დაიწყო ვერსად მუშაობა. ნინას კი ჰქონდა სტიპენდია, თან პარალაში კაფეში მუშაობდა და თავი ნორმალურად გაჰქონდა, მაგრამ დედას საერთოდ არანაირი შემოსავალი არ ჰქონდა და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ნიგნების გაყიდვა დაიწყო. მარჯანიშვილის მეტროსთან მიჰქონდა ხოლმე პარტია-პარტია და მიზერულ ფასად აბარებდა. კომუნალური გადასახდელების გადასახდელოდ და ცოტა საქმლის საყიდლად ძლივს ჰყოფნიდა. იმას დარდობდა, შვილს რომ ვერაფერს ურიცხავდა, მაგრამ სამსახურის პოვნის იმედს არ კარგავდა. რაც მთავარია, მობილური ინტერნეტი ყოველთვის ჰქონდა, შვილთან მუდმივი კავშირი რომ შეენარჩუნებინა. პანდემიისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე ყველაფერი გაძვირდა, არალეგიტიმური და არაკომპეტენტური ხელისუფლება არაფერს აკეთებდა მოქალაქეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და უაზრო შეზღუდვების დაწესებით და სტატისტიკით ვირეშმაკული მანიპულაციებით ცდილობდა მართვის იმიტაციას. ელისო ელოდებოდა საზღვრების გახსნას, შეზღუდვების გაუქმებას, ქალიშვილის დაბრუნებას. ელოდებოდა, მაგრამ დრო ძალიან ნელა გადიოდა, ყოველი დღე ნახევრადმშვიერს ჰქონდა გადასაგორებელი.

დროთა განმავლობაში საზღვრები გაიხსნა, ნინამ სწავლა დაასრულა და თბილისში დაბრუნდა. ელისომ მეტროსადგურ „სამგორამდე“ მეტროპოლიტენით იმგზავრა, მეტროდან ამოვიდა და სამარშრუტო ტაქსიში ჩაჯდა და აეროპორტის ჩასახვევთან გააჩერებინა და ჩამოვიდა. იქიდან ფეხით იარა აეროპორტის მიმართულებით, ხელს უქნევდა მანქანებს, მაგრამ არავინ გაუჩერა. აქოშინებული და დაღლილი მივიდა აეროპორტში, საპირფარეოში შევიდა, სარკეში ჩაიხედა, თავი სასწრაფოდ მოინესრიგა და შვილს გაღიმებული დახვდა. ჩაეხუტნენ ერთმანეთს, ბევრი იტირეს და „შკოდას“ ტაქსით წავიდნენ სახლში. სამზარეულოში შესულნებს მაგიდაზე ნინას საყვარელი კერძები დახვდათ, დედას ღამე გაეთენებინა და მოემზადებინა ის, რაც მის ქალიშვილს უყვარდა. სუფრას ნინას საყვარელი ნითელი ხიზილალაც ამშვენებდა. სახლში დაბრუნებულ გოგონას „ბატას“ ფეხსაცმელები არც გაუხვდა, მხოლოდ ხელები დაიბანა და მაშინვე მიუჯდა მაგიდას. ნინა ჭამდა, ელისო კი ამბებს უყვებოდა და ეალერსებოდა ქალიშვილს. სადილობას რომ მორჩნენ, ტელევიზორს მიუსხდნენ, თუმცა არც ერთი უყურებდა და არც მეორე, ისევ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და უყვებოდნენ ამბებს, თან ნინას მიერ ჩამოტანილი „ბეჭეროვკას“ წრუპავდნენ. ნინამ დედას ჩეხეთში ნაყიდი „ბოტასის“ ბოტასები გადასცა და უთხრა, რომ ცოტა ხნის წინ გაიგო თურმე საიდან მომდინარეობდა სიტყვა ბოტასი. ნინა მგზავრობით დაღლილი იყო, ამიტომ ადრევე იბანავა და დედას დასაძინებლად. დედამ ანაგ-მოალაგა, ნიუსები ნახა, მერე რაღაც ფილმს უყურა და ტელევიზორთანვე ჩაეძინა დივანზე.

მეორე დღით ნინას ელისოზე ადრე გაეღვიძა. დედა დივანზე ჩაძინებული რომ ნახა, არ გააღვიძა, რატომღაც მის საძინებელში შესვლა და თავისი ნახატების ნახვა მოუნდა. შევიდა, თვალი გადაავლო ნიგნების თაროებს, ყველა ნახატი თავის ადგილას იყო, ყველა უკლებლივ. გაახსენდა, რომ მხატვრული ლიტერატურა, მით უმეტეს, ქართულად, დიდი ხანია არ წაეკითხა. იფიქრა, ჩემი ძველი მეთოდით ავარჩევ და ნავიკითხავ რაიმესო. მეცამეტე თაროსთან მივიდა, შუშა გასწია, თავისი პირველი ნახატი აიღო, მაგრამ მის უკან სივარული დახვდა. მეორე ნახატის უკანაც ვერ ნახა ნიგნები. მეხუთე თაროს შუშა გადასწია, ნახატი აიღო და იქაც სივარული. რომელი ნახატიც არ აიღო, მის უკან ნიგნები აღარ ეწყო. ყველა თარო გულმოდგინედ შეამოწმა, მაგრამ ნიგნი ვერსად იპოვა. საყვარელი მხატვრების უკანასკნელი რეპროდუქციები დედას ნინა დღეს ჩაება რეგინა შვილის საყვარელი კერძების ინგრედიენტების და ხიზილალის შესაძენად.



თომას ბრამი

დარჩენა მინდა, ჯერ არასდროს ვყოფილვარ სადაც

რაც მაქვს, არ მინდა დავკარგო, მაგრამ სადაც ვარ, არ მინდა იქ დავრჩე, მაგრამ ვინც მიყვარს, არ მინდა დავტოვო, მაგრამ ვისაც ვიცნობ, არ მინდა მისი ნახვა, მაგრამ სადაც ვცხოვრობ, არ მინდა იქ მოვკვდე, მაგრამ სადაც მოვკვდები, არ მინდა მე იქ წასვლა. დარჩენა მინდა, ჯერ არასდროს ვყოფილვარ სადაც.

ერის ფრიდი

რა ხარ შენ ჩემთვის?

რა ხარ შენ ჩემთვის? შენი თითები, შენი ტუჩები? რა არის ჩემთვის შენი ნაზი ხმა? შენი სურნელი, ვიდრემდის გულში ჩაგიკრავდე და შენი სუნი, როს გულში გიკრავ და ამის მერეც? რა ხარ შენ ჩემთვის? რა ვარ მე შენთვის? რა ვარ მე?

ბერტოლტ ბრეხტი

ნუ დაუჯერებ საკუთარ ყურებს,

ნუ გჯერა შენი თვალების, შენ რომ გგონია სიბნელე, იქნებ ის იყოს ნათელი.

სისუსტეები

შენ არ გქონდა, მე მხოლოდ ერთი: მიყვარდა.

მაშა კალეკო

ყველაზე ლამაზი ლექსი?

ყველაზე ლამაზი ლექსი? არ დამინერია მე ის. ამოზრდილს სულის სიღრმიდან, მე ვდუმდი მას.

ნაცნობი ბრძანება

როცა პირველად გარდავიცვალე, — ჯერ კიდევ მახსოვს, ეს როგორ მოხდა — გარდავიცვალე მარტოკა, ჩემთვის, ჰამბურგში მოხდა, აპრილის თვეში, მაშინ თვრამეტის ვიყავი ალბათ.

როცა მეორედ გარდავიცვალე, გარდაცვალე იყო ტკივილი, მაშინ სულ ცოტა რამ დავიტოვე: ქათქათა თოვლში წითელი კვალი და მფეთქავი გული შენი კარის წინ.

როცა მესამედ გარდავიცვალე, ტკივილი უკვე ვერ შევიგრძენი. სიკვდილი იყო ისე ნაცნობი, ვით ფეხსაცმელი, პური, სანოლი. მე ანი აღარ გარდავიცვლები.

ველური ფოთოლი...

ერთი დამტყნარი ფოთოლი — და უკვე შემოდგომაა. ყინვისგან წკრიალებენ ღამით ფანჯრები. ო, მწვანე მინავე, რა ჭყეტელა ფერებით იღებები.

უკვე ზამთარი დაძრწის ფოთლებში. და თითქოს ერთბაშად გაქრნენ ჩიტებიც.

მწიფე ხილივით მოსწყდა მათი გალობა ხეებს, და ახლა ქარი ბუდობს ტოტებში.

ბებრები პარკში — მათ კიდევ უფრო ჩაქინდრეს თავი, დუმან შეყვარებულებიც.

მაღე შევა სადგურში ყველა გემები. თვლემენ გუბურასთან ნისლში ჩაკარგული გედები.

გაფრენილი სიზმარია ზაფხული! გაზაფხული კი — ოჰ, რა დაუჯერებელი ჭორი!

ჰაერში ფარფატებს დამტყნარი ფოთოლი, და ყველა ხვდება: უკვე შემოდგომაა.

ართისტვის

სხვანი არიან ვრცელი ზღვა. შენ კი ხარ ნავსაყუდელი. ნუ აღელდები, მშვიდად იძინე, მუდამ შენსკენ მაქვს გეზი.

თავზე დამტყდარმა ქარიშხალებმა შემომაცალეს აფრები. სხვანი არიან ჭრელი ზღვა. შენ კი ხარ ნავსაყუდელი.

შენ შუქურა ხარ. ბოლო მიზანი. ძვირფასო, ნუ აღელდები. სხვანი ესაა ზვირთთა თამაში, შენ კი ხარ ნავსაყუდელი.

სარა კირში

ჩემი მუხის მოკვლა მსურდა

ჩემი მეფის მოკვლა მსურდა, რომ ისევე თავისუფალი ვყოფილიყავი.

სამაჯური და ლამაზი სახელი, რომლებიც მაჩუქა, უკან დავუბრუნე და ის სიტყვებიც ქარს გავატანე, მისთვის რომ მქონდა ნათქვამი: მეტაფორები მის თვალზე, ენასა და ხმაზე. ცარიელი ბოთლებისგან კოშკი ავაგე, ასაფეთქებლით ავაგე — ამას სამუდამოდ უნდა დაეფრთხო. რათა ამბოხი სრულ მეყო, კარი ჩაერაზე, ადამიანებში გავერიე და სხვადასხვა სახლში მეგობრები გავიჩინე — თუმცა თავისუფლება არ იზრდებოდა. სული, ეს ბურჟუაზიული გამონაშთი, არა მხოლოდ გაირინდა,

არამედ დარბილდა კიდევ. ცეკვას იწყებდა, მე როცა თავით კედელს ვეხეთქებოდი. ჩემს მეფეზე ჭორებს კვალდაკვალ გავყევი, მისი შეცდომებისგან სამი ტომი შეეკრიბე, მისი უსამართლობებისგან კი მთელი საქალაქო შევკარი, ტყუილებიც არ გამომიტოვებია. ბოლოსდაბოლოს გავცემ-მეთქი. მოვძებნე კიდევ, რათა ჩემი გეგმა სისრულეში მომეყვანა და სხვას ვაკოცე, რათა ჩემს მეფეს არაფერი შემთხვეოდა.

რაინერ მარია რილკე

შენც დაილაღე?

შენც დაილაღე? მე გაგიძღვები ამ ხმაურიდან, ასე რომ გვტანჯავს. ეს დრო ორივეს თავის დაღს გვასვამს. იმ ტყის უკან კი, ახლა რომ გავალთ, ვით თეთრი კოშკი, ღამე დამდგარა.

იქნებ ალიონს გავეპაროთ, წავიდეთ სადმე, შენს სილამაზეს შინ სხივიც ვერ ამჩნევს... შენს ბალიშს მაისის სუნი ჯერ კიდევ თან სდევს: ეს დღე ჩემს ყველა ოცნებას ნაკუნად აქცევს, — მათგან გვირგვინი მომიქსოვე კვლავაც მე.

მინდა, ვუმღერო ვინმეს ძილის წინ...

მინდა, ვუმღერო ვინმეს ძილის წინ, ვინმესთან ვიჯდე და ვიყო. მსურს, დაგარნიო პატარა ბავშვივით, ერთად ვიძინოთ და გავიღვიძოთ.

მინდა, რომ ვიყო სახლში ის ერთი, ვინც ღამის სიცივეს დარდობს. მინდა, ყველაფერს მივაყურადო: შენ, ხეებს ტყეში და მთელს სამყაროს.

ერთმანეთს უხმობენ ეს საათები და ვხედავ, დრო როგორ გადის. დაეხეტება ქუჩაში უცხო და უცხო ძაღლებს აყეფებს ღამით.

რა სიჩუმეა! ჩემი თვალები ველარ გტოვებენ წამით; ნაზად გიჭერენ, მერე გიშვებენ, როგორც კი ბნელში გაისმის ჩქამი.

საბნები

საგნები
საკუთარ, მშვიდ,
უდრტივინველ დინებას უნდა მიანდო,

ხესავით უნდა დამნიფდე,
რომელიც ნაყოფს არ აჩქარებს
და გაზაფხულის ქარიშხლებს
მშვიდად ეგებება.

რაც რამ აუხსნელი გაქვს გულში,
მომთმინებით მოეციდე,
და ეცადე, თავად კითხვები შეიყვარო,

მთავარია, ყველაფერი გამოსცადო.
თუ შეკითხვებს ჩასწვდები,
იქნებ ერთ უცხო დღეს,

ერის კესტნერი

საქმიანი რომანსი

უკვე რვა წელი იცნობდნენ ერთმანეთს
(უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგად),
როცა სიყვარული უცბად დაკარგეს,

დადარდნიანდნენ, თავს იტყუებდნენ,
კოცნიდნენ, თითქოს ვნება არ გაჰქრა,
ერთმანეთს უცქერდნენ, ხსნა ვერ იპოვეს.

ფანჯრიდან ხედავდნენ მიმავალ გემებს.
კაცმა თქვა, უკვე ხუთს გადასცდა,
დროა, რომ სადმე ყავა დავლიოთ,

ნავიდნენ პატარა კაფეში იქვე,
ერთხანს ურევდნენ ფინჯანში ყავას.
სალამო დადგა, კვლავაც იქ ისხდნენ.

მცირე სოლო

მარტოსული ხარ ძალიან მარტო.
საათს წვეთ-წვეთად სწყდება დრო.
სარკმელთან დგახარ, ქვებს აშტერდები.

ოცნება მიდის გრძნობის საძებრად,
ბედნიერებას ჯადო აქვს.
გიახლოვდება. მერე გაგიზრბის.

ყველაფერს უძღვნი, სულსაც და გულსაც,
მზადა ხარ, მისთვის რომ შეიცვალო.
სიყვარულია, ხალხს რომ აწყვილებს.

თარგმნა ქეთიკან ნიკოლაძე

ნინო ვახანია
სურათები
ემიგრანტული
ალბომიდან

თუ არსებობს „ათას ერთი ღამის“ ზღაპრული სამყარო,
რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენს დროში დაინერა
„ათას ერთი დღიდან“ თავისი საესეებით რეალისტური,
ლაშის ნატურალისტური სამყაროთი.


ლირიკულ გმირ ქალს კანადასა და ამერიკაში ცხოვრებისას
გრძნობები განსაკუთრებით გაფაქიზებია. რაზეც უნდა
წერდეს, თვალნინი სამშობლო უდგას.

მაია ციციშვილი ჩვენი, ქართველების ნაკლავი ისეთი
სიფაქიზით, სიყვარულით, მსუბუქი იუმორით გადმოგვცემს
და დაგვანახებს, რომ ნაკლი ჩვენ თვალში ღამის ღირსებად
იქცეს და ყველა ამერიკის, კანადის და მსოფლიოს „ჯინაზე“

ზემოთ სიფაქიზე იმიტომ ვახსენე, რომ მაია ციციშვილი
სრულიად თავისუფალია ყოველგვარი უხეშობისგან და
ნოსტალგიას სამშობლოს ნაზი, მგრძობიარე გახსენებით
გამოხატავს. მის ახლოს — სულერთია, საკლასო, სამუშაო
თუ საცხოვრებელი ოთახში, ნიკო ლორთქიფანიძის ერთი
მინიატიურისა არ იყოს, კედელზე საქართველოს დიდი რუკაა
ჩამოკიდებული.

ავტორი შთაგონებას თანაბრად იღებს იმ დრო-სივრცედანაც,
რომელიც ცხოვრობს, და იმ დრო-სივრცედანაც, რომელიც
წარსულში დარჩა.

კრებულის პირველივე მოთხრობაში „ეპიკურეს ბადება“
ხალისითაა მოთხრობილი, როგორ „ებრძვიან“ ქართველები,
რათა კაფეში ფულის გადახდა დაასწრონ ერთმანეთს,
რა ხერხსა თუ ეშმაკობას იგონებენ ამისთვის, რა დაუმრეტელ
ფანტაზიას ამჟღავნებენ ამ დროს.



უცხოელთათვის სასაცილო („ჩემიც გადაიხადეთ, თუ გინდათ“, —
მიმართავს ერთ ადგილობრივი ახმაურებულ ქართველებს)
ჩვენი თავმოსაწონებელია. და მიუხედავად იმისა, ვის რა
შემოსავალი აქვს და რა შრომითა და დავითა აქვს მცირე თუ
დიდი ქონება დაგროვებული, ყველას მაგიერ ფულის გადახდა
ღირსების საზომია, კაცობის, ადამიანობის საზომი და ამას
ვერაფერი შეცვლის, ვერ გადაასხვავებებს.

მოთხრობა 2014 წელსაა დაწერილი, როცა ეს ზემოაღნიშნული
ტრადიცია უკვე ჩვენთანაც აღარ იყო ისე აქტუალური. დღეს
ჩვენს ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად ფულის გადახდის
სხვისთვის დასწრება ვეღარ მიიჩნევა. ჩვენივეს ეს წარსულია,
რომელსაც დაუნახებლად შეველიეთ. ემიგრანტებისთვის
ტრადიცია ცოცხალია, ქართულია და მისი დაუცველობა თუ
შეუსრულებლობა ღამის სამშობლოზე უარის თქმას უდრის.

ქალბატონი მაია ახერხებს, მკითხველს სულის გახევებული
და გაუხეშებული სიმი შეურხიოს. ნოველაში „მეხსიერების
არქივიდან“ ლირიკული პერსონაჟი, ისეთ მანქანაზე
ოცნებობს, მეხსიერებას რომ გააცოცხლებს. ეს თვითონ
მწერალს არ უნდა არაფრის დავინწყება და გული წყდება,
ბავშვობისა და ახალგაზრდობის დროინდელი რომელიმე
ეპიზოდზე კი თუ გაფრთხილდა, ოდნავ მაინც სხივი მოაკლდა.

წარსულის გახსენება, მასზე ფიქრი, რა თქმა უნდა, არ არის
თვითმიზნური. ავტორს ისიც მომავლის სამსახურში ჰყავს
ჩაყენებული. წარსული უხილავი ძაფით მომავალთან არის
გადაბმული. რა არის ბედნიერება, პიროვნული პასუხისმგებლობა,
თავისუფლება — ის საკითხებია, ის ძირითადი ღერძი, რომელზეც
ამ კრებულის მოთხრობებიც არის აგებული და ადამიანთა
ცხოვრებაც.

აქ არ არის დიდაქტიკა, თუმცა არაიშვიათია ჭკვიანური,
დასაფიქრებელი, გასაზრებელი, დასამახსოვრებელი ფრაზა.

თხრობის რიტმი, ინტონაცია მთელ კრებულში ბუნებრივია,
უშუალო. ავტორისთვის მიუღებელია კეკლეცობა, თავის
წარმოჩენა არაბუნებრივი სტილით სამკაულებით. ყველა
თხზულება, ყველა ნაამბობი მწერლის შინაგანი შუქითაა
განათებული. როგორც ჭეშმარიტი მწერლობისთვისაა
ნიშანდობლივი, კონკრეტული ხასიათები ძალდაუტანებლად
ზოგადდება.

მიუხედავად იმისა, სიუჟეტი სახალისოა თუ დრამატული,
ნოველური ფინალი აქვს თუ არა, ყველა თხზულება მკითხველს
თავს ამასხოვრებინებს. ავტორს აქვს უნარი, ჩვეულებრივში
დაინახოს ძვირფასი, მერე იმ ძვირფასს არ კარგავს და
მკითხველს იმ უჩვეულოს შეაგრძობინებს, რომლის გარეშეც
გამინიერდებოდა ცხოვრება. აღტაცება, აღფრთოვანება,
დარდი, ნაღველი და ფიქრი, ფიქრი ნაკითხულის შესახებ —
ახალ, მანამდე უცნობ სამყაროსთან ზიარებისა და ამით
განცდილი სიხარული ზემოთქმულის თვალსაჩინო დადასტურებაა.

ქართული ხასიათი უკვლევიათ სხვადასხვა დარგის მეცნიერებს —
ფსიქოლოგებს, ფილოსოფოსებს, ეთნოგრაფებს... მეცნიერულად
შეუსწავლიათ, უჩხრეკიათ... ეროვნული ხასიათის ამა თუ იმ
შტრიხის შესაცნობად ცხოვრებასთან ერთად, სანდო,
საიმედო წყაროა ლიტერატურაც. ქალბატონი მაია მარტო
მასალას კი არ აწვდის, ვთქვამთ, რომელიმე დაინტერესებულ
მკვლევარს, არამედ თვითონ აკვირდება, შეისწავლის და
მთელი მრავალფეროვნებიდან, სიჭრელიდან თუ ორომტრიალიდან
ცალკეულ სურათებად, ეპიზოდებად გამოყოფილს გვთავაზობს
მკითხველს.



ჰომეროსი

ილიადა

აგამემნონის მოთხოვნა და აქილეუსის რისხვა
I სიმღერა

ცხრა დღე და ღამე დაჰქროდა ჯარში ღვთიური ისრები, მეთათე დღეს კი პელიდმა ხალხი სამსჯელოდ მოიხმო. თეთრხელა ჰერამ ურჩია, ასე რომ მოქცეულიყო, რადგანაც ებრალებოდა მოკლული დანაელები. რომ მოუყარა თავი და შეკრიბა მთელი ლაშქარი, მათ შორის ჩადგა სწრაფფეხა აქილეუსი და მიმართა: „ატრიდო, ახლა ყველა უკან, საკუთარ სახლში უნდა დაგბრუნდეთ, თუკი სიკვდილს გადავურჩებით, თუ დაერევა აქაველებს ომი და ჭირი. ჯერ მოვუსმინოთ ქურუმებს და ნათელმხილველებს, სიზმრის ამხსნელებს — სიზმრებსაც ხომ ზევსი გვიგზავნის — რაზე მრისხანებს აპოლონი ასე სასტიკად, ჰეკატომბე და ლოცვა ხომ არ დაუფიქრებიათ. იქნებ მიიღოს შესანიშნავი საუკეთესო თხა თუ ბატკანი და დაგვიცვას ხოცვა-ჟლეტისგან“. ეს სიტყვა რომ თქვა, დაჯდა და შემდეგ წამოდგა კალქასი, თესტორის ვაჟი — ჩიტებზე მკითხავთა შორის პირველი, ვინც ყველაფერი იცოდა წარსულის, ანმყოფი, მომავლის, ვინც აქაველთა ხომალდებს ილიონისკენ მოუძღვა იმ ნათელმხილვის უნარით, რაც აპოლონი უბოძა. ადგა და ასე მიმართა ჩვეული გონიერებით: „ზევის რჩეული აქილეუსო, გინდა გაუნყო, რამ განარისხა აპოლონი შორსმოსიარი. მეც მოგახსენებ, შემომფიცე ოლონდ წინასწარ, რომ თუ დამჭირდა, შენ დამიცავ სიტყვით და მკლავით, რადგან ვშიშობ, რომ განვარისხებ მას, ვინც არ გივლელთ მართავს და ვისაც მორჩილებენ აქაველები. ძალაუფლებით ქვეშევრდომებს აღემატება მეფე და თუკი შეიკავებს თავს, ბოლოს მაინც არ გაჩერდება, თუ ის რისხვა არ აღასრულა, რაც გულში უდევს. დამპირდი, რომ შენ მიხსნი მისგან“. სწრაფფეხა აქილეუსმა კი ასე მიუგო პასუხად: „ბოლომდე მენდე, მითხარი, რასაც წინასწარ ხედავ და აპოლონს ვფიცავ, ზევსის ძეს, კალქასო — ვისაც მსახურებ — შენ დანაელებს აუნყე წინასწარმეტყველებები და სანამ მე ცოცხალი ვარ, სანამ ამქვეყნად ვარსებობ, ხელის აღმართვას ვერავინ გაბედავს ღრმა ხომალდებთან — ვერცერთი დანაელი და ვერც თავად აგამემნონი, ვინც იკვებხნის, რომ აქაველთ ყველაფრით აღემატება“. მაშინ გაბედა უბადლო მისანმა და უპასუხა: „არც ჰეკატომბემ, არც ლოცვამ არ განარისხა, არამედ იმან, რომ აგამემნონმა პატივი არ სცა მის ქურუმს, უარყო მისი ძღვენი და არ დაუბრუნა ასული. ამიტომ გამოგვიგზავნა შორსმოსიარმა ეს ტანჯვა არც დასრულდება არასდროს, სანამ თვით დანაელები თვალბრწყინობა ქალიშვილს არ დაუბრუნებთ მამამისს — გამოსასყიდის გარეშე და არ შევნირავთ შესანიშნავს ქრისესთვის. მხოლოდ ასე თუ მოვალბობთ, გულს მოვუბრუნებთ“. ეს თქვა თუ არა მისანმა, დაჯდა. მის შემდეგ წამოდგა აგამემნონი, ატრევსის ძე, მბრძანებელი მრავალთა, უზომოდ გაცოფებული. გულში უდუღდა შავი და სასტიკი რისხვა. თვალელები ცეცხლივით უგიზგიზებდა. ჯერ კალქასს სტყორცნა ბოროტი მზერა და მერე წარმოთქვა: „მაცნევე ბოროტის! არასდროს გიუნყებია კარგი და კეთილი საქმე არც სიტყვით, არც საქმით ჩაგიდენია. ახლაც ხმამაღლა უცხადებ დანაელთ შენს ნათელმხილვას — რომ ვითომ შორსმოსიარი იმითომ გზავნის ამ სასჯელს, რომ არ ავიღე ქრისესთვის ძვირფასი გამოსასყიდი

და არ გავუშვი. დიახაც, ძალიან მინდა, ეს ქალი მე მყავდეს სახლში. ვარჩიე ის თავად კლიტემნესტრასაც — ჩემს კანონიერ ცოლს, რადგან მასზე ნაკლები არ არის აღნაგობით თუ მშვენიერებით, ჭკუით თუ საქმიანობით. მაგრამ მზადა ვარ, დავთმო, თუ ეს თქვენთვის უმჯობესია, რადგანაც მე ჩემი ხალხის ხსნა მსურს და არა დაღუპვა. თუმცა, მოვითხოვ, სხვა ჯილდო რომ გაამზადოთ სასწრაფოდ, არ გივლელთ შორის ნადავლის გარეშე რომ არ აღმოვჩნდე, ყველანი ხედავთ ცხადად, რომ ჩემს ჯილდოს ვათავისუფლებ“. აქილეუსმა კი, ღვთიურმა სწრაფფეხა გმირმა, მიუგო: „სახელოვანო ატრიდო, სიხარბით გამორჩეული, როგორ მოგცემენ სხვა ჯილდოს მამაცი აქაველები, ხომ ხედავ, აღარსად დარჩა ნადავლი გაუყოფელი — გავანანილეთ დაპყრობილ ქალაქთა ნაალაფარი. ახლა ეს ქალი გაგზავნე უკან და აქაველები სამჯერ, ოთხჯერ მეტს გიზღავენ, თუკი ინებებს ზევსი და დაგვანგრევენებს ერთ დღესაც მყარგალავნიან ილიონს“. მას უპასუხა მბრძანებელმა აგამემნონმა: „მამაცი კი ხარ, აქილეუსო ღვთისდარო, მაგრამ ვერ მომატყუებ ჭკუაში და ვერ დამარწმუნებ. ალბათ გინდა, რომ შენი ჯილდო შეინარჩუნო, მე ჩემი დავთმო და ნადავლის გარეშე დავრჩე. აქაველებმა მომცენ მაშინ ჯილდო, რომელიც თანასწორია წინასი და გულით მნადია. თუკი თავისით არ მომცემენ, თვითონ წავიღებ ან შენს ნადავლს, ან აიასის, ან ოდისევსის — ძალით ნაგართმევთ. ეწყინება, ვისაც მივწვდები. თუმცა, ამაზე ვისაუბრებთ მოგვიანებით. ახლა ჩაუშვით შავი გემი ღვთაებრივ ზღვაში მენიჩბეები შევაგროვოთ, სამსხვერპლოც ჩავდოთ და მოვიყვანოთ ქრისესი ლამაზლანვება. ვინმე წარუძღვეს მრჩეველთა და წინამძღოლთაგან — იდომენესი, აიასი ან ოდისევსი, ან შენ, პელიდო, კაცთა შორის შიშისმომგვრელო, იქნებ მოვუღბოთ შორსმოსიარს გული ამგვარად“. ცერად გახედა სწრაფფეხა აქილეუსმა და მიუგო: „ო, უსიციხვილო, აღსავსე ანგარებით და სიხარბით, ასე ხომ აქაველთაგან არ მოისურვებს არავინ არც შენთან ერთად წამოსვლას, არც მტერთან შებმას ბრძოლაში. აქ არ მოვსულვარ მშვიდდოსან ტროელ კაცებთან საომრად, მათ არას ვერჩი, ზიანი ჩემთვის არ მოუტანიათ — არ გაურეკავთ არც ჩემთა ცხენთა და ხართა ჯოგები, არც ჩემი ნაყოფიერი ფთის მინაზე დაუდგამთ ფეხი და არ შეხებიან მოსავალს, არ მოუსპიან — ჩრდილით მოსილი მთები და მოგუგუნე ზღვა გვაშორებს. შენი გულისთვის მოვედით, შენს საამებლად, თავხედო, ძალისთვალეზავ. შენი და მენელაოსის სახელით რომ დაგვესაჯა ტროელი. შენ კი არაფრად ჩააგდე და მემუქრები უტიფრად, რომ კუთვნილ ჯილდოს წამართმევ, რაც ბევრი შრომის შედეგად მარგუნეს აქაველებმა. შენგვარი ჯილდო არასდროს მრგებია. აქაველები მრავალრიცხოვან ტროას რომ უტყვედნენ თავგამოდებით, იმ დაუღალავ ბრძოლებში ყველაზე მეტად შერებოდნენ ჩემი ხელები. როდესაც საქმე ნადავლზე მიდგება, შენ გარგუნებენ ყველაზე ძვირფას ძღვენს, მე კი — მცირედს და ვბრუნდები ხომალდებისკენ, ბრძოლებისაგან დაღლილი. ახლა მივიღვივარ ფთიაში. არაფერი სჯობს, როდესაც სახლისკენ მიემართები ღრმა ხომალდებით. აღარ მსურს, აქ დავრჩე პატივყარი და შენ გიგროვო სიმდიდრე“. აგამემნონმა უპასუხა, კაცთა მეუფემ: „თუ გულით გინდა, გაიქეცი, არ შეგაჩერებ, არ ვთხოვ, რომ დარჩე ჩემთვის, სხვებიც არიან მრავლად, პატივს რომ მცემენ. ბრძენი ზევსი — განსაკუთრებით. სასტიკად მძულხარ მის საყვარელ მეფეთა შორის, გსიამოვნებდა მუდამ შულლი, ბრძოლა და ომი, სიმამაცე კი, სხვებზე მეტი, ღმერთებმა მოგცეს. დაბრუნდი სახლში მეტბრძოლეთან ერთად ნავეებით, მირმიდონელი მართე ისევ. შენ არ მადარდებ, არ მენაღვლება შენი რისხვა, თუმც გემუქრები: როგორც აპოლონ ფიობოსი მართმევს ქრისესის, თავად რომ ვგზავნი ჩემი ნავით და მეტბრძოლებით, ამის საწინააღმდეგო შენს ბრისისს ლამაზლანვებას შენი კარვიდან წავიყვან, რომ კარგად იცოდე, რამდენად შენზე ძლიერი ვარ. სხვებიც მერიდონ, რომ არ წამოსცდეთ მსგავსი, თავი არ გამიტოლონ“. ეს თქვა. პელიდი სასტიკად დამწუხრდა. გულში, რომელიც ბანჯგვლიან მკერდქვეშ ბორგავდა, უცებ ვერ გადაენწყვიტა — ბასრი მახვილი ეხმარა, თეძოზე ჩამოკიდული, ამოეღო და მოეკლა ატრიდი აგამემნონი, თუ მოეთოკა რისხვა და ოდნავ დაეცხრო სიმამაცე. ვიდრე ამგვარად მსჯელობდა გულში და ფიქრებს ებრძოდა, მახვილი ამოიღო და ამ დროს ათენაც გამოჩნდა ზეციდან — თავად თეთრხელა ჰერამ რომ გამოუგზავნა, ვისაც ორივე უყვარდა და ერთნაირად ზრუნავდა. უკან დაუდგა პელიდს და ოქროსფერ თამაში სწვდა. ღმერთი გმირისთვის იყო საჩინო, სხვებისთვის კი — უჩინარი. მობრუნდა გაცოცხლები აქილეუსი და შეიცნო თავად ათენა პალასი, მრისხანე მზერით აღსავსე.

თარგმანი ქეთი ნიჟარაძე

ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ჟურული

მოზ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 1772346 1794004